# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 14 ნოემბერი 2001 №218 (1491) | ფასი 50 თეთრი


# საქართველომ მსოფლიოს რეკორდი დაამყარა

განსაკუთრებული ქვეყანაა საქართველო და მისი ყველაფერი განსაკუთრებულია.

სად ცხოვრობენ ნებისმიერი კონტინენტის ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე მსოფლიოს ჩემპიონები? ალბათ ვილაში, აპარტამენტებში ან რამდენიმეოთახიან ბინაში.

საერთო საცხოვრებელშიც ხომ არა?

რას ბრძანებთ, მსოფლიოს ჩემპიონს საერთო საცხოვრებელში რა ესაქმება. ასეთის მონახვა უფრო ძნელია, ვიდრე ორიოდ დღის წინ ანთალიაში მსოფლიოს ჩემპიონად ქცეული ქართველი ძალოსნის, გიორგი ასანიძის მსოფლიოს რეკორდის დამხობა.

თავად ასანიძე სადღა ცხოვრობს?

განსაკუთრებულ ქვეყანა საქართველოში, რომელმაც დაუმხობელი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა: მას ჰყავს გიორგი ასანიძე, საერთო საცხოვრებლის ბინადარი მსოფლიოს ჩემპიონი.

გუშინ მსოფლიოს ახალი და ევროპის ორგზის ჩემპიონი, სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, მსოფლიოს რეკორდსმენი გიორგი ასანიძე ანთალიიდან თბილისს დაბრუნდა. ჩემპიონმა ვილას, აპარტამენტებს ან რამდენიმეოთახიან ბინას კი არა, ფარღალალა საერთო საცხოვრებელს მიაშურა, სადაც მონატრებული ცოლ-შვილი ელოდა.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



გაჩეჩი კოლოპაძის ფოტო



გიორგი ასანიძე საქართველოს და უმცროს ვაჟ კახის მსოფლიოს ჩემპიონის ოქროთი ხელდამშვენებული დაუბრუნდა

# კაი ბიჭები ევროპაშიც ბირჟაზე დგანან





2000 წელი ლუიშ ფიგუსი იყო , 2001...

აი, ჩამონათვალი ორმოცდაათი ფეხბურთელისა, რომელთაგან ერთიც შობის წინა კვირაში „ფრანს ფუტბოლის" მიერ ევროპის წლის საუკეთესო მოთამაშედ გამოცხადდება. შეგახსენებთ, რომ მეხუთე ათწლეულია, „ფრანს ფუტბოლი" „ოქროს ბურთის" ლაურეატებს ავლენს ევროპულ სპორტულ ჟურნალ-გაზეთთა გამოკითხვით, რომელშიც საქართველოდან „სარბიელი" მონაწილეობს.

ნომინანტთა შორის ყველაზე მეტი ფრანგია — თერთმეტი ფეხბურთელი. ექვსი მოთამაშე ჰყავს იტალიას, ხუთ-ხუთი — ბრაზილიას და ინგლისს.

ახლა სხვაგვარად დავითვალოთ: ნომინანტებიდან ჩვიდმეტი ფეხბურთელი სერია A-ში თამაშობს, ორით ნაკლები პრემიერლიგაში.

კლუბთა შორის კი ასეთი ვითარებაა: „ბაიერნი", „იუვენტუსი", „რეალი", „მანჩესტერ იუნაიტედი" და „რომა" ხუთ-ხუთი ფეხბურთელით არიან წარდგენილნი.

ბოლოს პროგნოზიც. ფრანგული პრესის ვარაუდით, ამ საფეხბურთო ბირჟაზე ფავორიტები რომაელი ფრანჩესკო ტოტი და ლივერპულელი მაიკლ ოუენი არიან. წინა წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი ლუიშ ფიგუ კი ასეთად თანაგუნდელ რაულს მიიჩნევს.

## 2001 წლის „ოქროს ბურთის" კანდიდატები

| | | |
|---|---|---|
| სონი ანდერსონი | ლიონი | ბრაზილია |
| ტიერი ანრი | არსენალი | საფრანგეთი |
| ფაბიენ ბარტეზი | მანჩესტერ იუნაიტედი | საფრანგეთი |
| გაბრიელ ომარ ბატისტუტა | რომა | არგენტინა |
| რობერტო ბაჯო | ბრეშა | იტალია |
| დევიდ ბექჰემი | მანჩესტერ იუნაიტედი | ინგლისი |
| ჯანლუიჯი ბუფონი | იუვენტუსი | იტალია |
| რაიან გიგზი | მანჩესტერ იუნაიტედი | უელსი |
| ალესანდრო დელ პიერო | იუვენტუსი | იტალია |
| მარსელ დესაი | ჩელსი | საფრანგეთი |
| ჯოვანი ელბერი | ბაიერნი | ბრაზილია |
| ივან ელგერა | რეალი | ესპანეთი |
| შტეფან ეფენბერგი | ბაიერნი | გერმანია |
| ხუან სებასტიან ვერონი | მანჩესტერ იუნაიტედი | არგენტინა |
| პატრიკ ვიეირა | არსენალი | საფრანგეთი |
| ზინედინ ზიდანი | რეალი | საფრანგეთი |
| ვენსან კანდელა | რომა | საფრანგეთი |
| ოლივერ კანი | ბაიერნი | გერმანია |
| ერიკ კარიერი | ლიონი | საფრანგეთი |
| მარკოს ევანჯელისტა კაფუ | რომა | ბრაზილია |
| ჰარი კიუელი | ლიდს იუნაიტედი | ავსტრალია |
| პატრიკ კლუივერტი | ბარსელონა | ჰოლანდია |
| ერნან კრესპო | ლაციო | არგენტინა |
| სამუელ ოსეი კუფური | ბაიერნი | განა |
| ჰენრიკ ლარსონი | სელტიკი | შვედეთი |
| ბიქსენტ ლიზარაზუ | ბაიერნი | საფრანგეთი |
| გაისკა მენდიეტა | ლაციო | ესპანეთი |
| ჰიდეტოში ნაკატა | პარმა | იაპონია |
| პაველ ნედველი | იუვენტუსი | ჩეხეთი |
| ალესანდრო ნესტა | ლაციო | იტალია |
| ემანუელ ოლისადებე | პანათინაიკოსი | პოლონეთი |
| მაიკლ ოუენი | ლივერპული | ინგლისი |
| პედრო რესენდეს პაულეტა | ბორდო | პორტუგალია |
| რობერ პირესი | არსენალი | საფრანგეთი |
| რაული | რეალი | ესპანეთი |
| რივალდო | ბარსელონა | ბრაზილია |
| რობერტო კარლოსი | რეალი | ბრაზილია |
| მანუელ რუი კოშტა | მილანი | პორტუგალია |
| ებე სანდი | შალკე | დანია |
| პოლ სქოულზი | მანჩესტერ იუნაიტედი | ინგლისი |
| დამიანო ტომაზი | რომა | იტალია |
| ფრანჩესკო ტოტი | რომა | იტალია |
| დავიდ ტრეზეგე | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| ლილიან ტურამი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| რიო ფერდინანდი | ლიდს იუნაიტედი | ინგლისი |
| ლუიშ ფიგუ | რეალი | პორტუგალია |
| ანდრეი შევჩენკო | მილანი | უკრაინა |
| სტივენ ჯერარდი | ლივერპული | ინგლისი |
| ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი | ჩელსი | ჰოლანდია |
| სემი ჰიპია | ლივერპული | ფინეთი |

# ბოლდიში სტუმრებს, ჯიბეში გუნდებს

## უპრეზიდენტო აღმასკომმა თასს ყიფიანი უწოდა

**ქართული** ფეხბურთის 11-წლიან ისტორიაში მეორედ იყო, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა უპრეზიდენტოდ რომ ჩატარდა. სამი წლის წინ, 25 დეკემბერს, საქართველოს ნაკრების მწვრთნელად ვლადიმერ გუცაევი აღმასკომმა ისე დანიშნა, დარბაზში პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი არ იმყოფებოდა. ის მაშინ ავადმყოფობდა.

გუშინ კი სასტუმრო „სიმპათიაში“ შეკრებილმა აღმასკომის წევრებმა და სტუმრებმა უეფადან დაახლოებით ორი საათი ფედერაციის ამჟამინდელ პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას დაუსწრებლად ითათბირეს. როგორც აღმასკომის სხდომის შემდეგ გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ გვითხრა, პრეზიდენტი მივლინებაშია და, თბილისში მომავალ კვირას დაბრუნდებაო. ჟორდანიას ჩოლარიასთან ტელეფონით უსაუბრია და მისი პირით უეფას აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს ხელმძღვანელ ერიხ ეპლეს, ამავე ბიუროს წევრ ბრუნო ეფესბერგსა და აუდიტორიული ფირმის წარმომადგენელ ლენკა ტუჩეკისთვის ბოდიში შეუთვლია. სტუმრებმაც გაუგეს პრეზიდენტს და აღმასკომიც მუშაობას შეუდგა.

დღის წესრიგში სამი საკითხი იყო. ეპლესა და მის თანმხლებთ ფეხბურთის ფედერაციაში ამას წინათ ჩატარებული აუდიტის თაობაზე უნდა ესაუბრათ; ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ჩივაძეს ქვეყნის თასისთვის დავით ყიფიანის სახელის მიკუთვნებაზე და გაიოზ დარსაძეს მწვრთნელთა მუდმივმოქმედი მოსამზადებელი კურსების შესახებ.

ერიხ ეპლე საქართველოს ხშირი სტუმარია. მისი ვიზიტის მიზანი ხან რა არის, ხან რა. ამჯერად და დაახლოებით ორი თვის წინ კი ეპლე აუდიტორ ეწვია. მოგეხსენებათ, გაისად ფედერაციის ყრილობა უნდა გაიმართოს და უეფასთან დაახლოებული ფირმის აუდიტორი, აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს წევრები ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელებმა შენიშვნა-რეკომენდაციებისთვის მოიწვიეს.

აუდიტი ფედერაციაში ამ „სამკაცას“ თბილისში პირველად ჩამოსვლისას ჩატარდა. მაშინ მათ თქვეს, ნოემბრის შუა რიცხვებში კვლავ გესტუმრებით და ჩვენს დასკვნებსაც მოგახსენებთო. აგერ, ეპლესა და მისი მეგობრების ხელმეორე ვიზიტიც. თუმც ჩვენთვის, ჟურნალისტებისათვის, ისეც გაუგებარი დარჩა, რა წერია მათ დავთრებში. აღმასკომის შემდეგ ისინი დარბაზში პრესკონფერენციისთვის კი შეყოვნდნენ, მაგრამ საინტერესო და მნიშვნელოვანი არაფერი უთქვამთ: „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში კარგად მუშაობა იციან. რა თქმა უნდა, წვრილ-წვრილი შეცდომები კი აქვთ, მაგრამ სერიოზული არაფერი. ვფიქრობთ, ფედერაციას, სასარგებლო რჩევები მივეცით და ალბათ გაითვალისწინებენ. მაგალითად, რეკომენდაციაა, ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა ყოველ ორი წელიწადში ერთხელ ჩატარდეს, თუმც საარჩევნო ვადა ახლანდელივით დარჩეს. ასევეა უეფაში“ — თქვა ლენკა ტუჩეკმა და ისიც დაამატა, ფედერაციისთვის კიდევ 30-მდე ამგვარი რეკომენდაცია გვაქვსო. არც ეპლე ყოფილა ნამეტანი ენაწყლიანი, ნაკრებისთვის ბაზის ასაშენებელი ადგილი და ფედერაციის მშენებარე ოფისი ვნახეთ და კმაყოფილნი დავრჩითო... უეფას სტუმრები წამოდგნენ და გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიასთან დაგვტოვეს. მეტ-ნაკლებად საინტერესოც სწორედ მან გვითხრა.

— გადაწყდა, რომ საქართველოს თასის გათამაშება დავით ყიფიანის სახელობისა იქნება. ჩვენი იდეა აღმასკომის ყველა წევრმა მოიწონა. საქართველოს თასის მფლობელი კი ფედერაციიდან 10 ათასს ლარს მიიღებს. ეს ახლა, თორემ როცა ფედერაციის ბიუჯეტი გაიზრდება, შესაბამისად გამარჯვებულისთვის თანხაც მოიმატებს.

მწვრთნელთა მუდმივმოქმედი მოსამზადებელი კურსების პროგრამა, რომელიც ამ კურსების ხელმძღვანელმა გაიოზ დარსაძემ შეიმუშავა, ვთარგმნეთ, უეფაში გავგზავნეთ და რამდენიმე დღეში ჩაუსწორებლად დამტკიცებული უკანვე მივიღეთ. გადავწყვიტეთ, პირველი კურსი 3-დან 28 დეკემბრამდე ჩავატაროთ. შესაბამისი გამოცდის ჩამბარებელი B კატეგორიის სერთიფიკატს მიიღებს და საქართველოში მუშაობის უფლება ექნება. ზემოხსენებული სერთიფიკატის გარეშე მწვრთნელს აეკრძალება ბავშვთა ფეხბურთში მუშაობა.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელის საკითხი დღეისათვის ისევ გაურკვეველია. ჩვენ არ ვჩქარობთ, დრო გვაქვს და ვნახოთ. ისე, მწვრთნელის დანიშვნისას დიპლომატიაც არის საჭირო და შესაძლოა ნაკრებში ალექსანდრე ჩივაძეც დარჩეს.

დაბოლოს, ვალერი ჩოლარიამ უკვე საკმაოდ გახმაურებულ „კოლხეთი“ — „ტორპედოს“ მატჩზეც თქვა: „ფედერაციის საგანგებო კომიტეტი პრეზიდენტის ჩამოსვლას ელის და ამ მატჩის თაობაზე შემდეგ ვიმსჯელებთ. თუ პრეზიდენტი მომავალ კვირას არ დაბრუნდა, მაშინ მას მე და ჩივაძე ტელეფონით გავესაუბრებით. სხვათა შორის, საგანგებო კომიტეტის უახლოეს სხდომაზე მსაჯობასთან დაკავშირებულ საკითხებზეც გავამახვილებთ ყურადღებას. ჩემპიონატის ჩატარების ახლანდელ სისტემაზე კი ჩვენ დიდი ხნის ნაფიქრი გვაქვს და უეფაშიც არის მოწონებული. ჩემპიონატი რომ ძველებურად ჩაგვეტარებინა, ახლა უკვე ჩემპიონისა და პრიზიორთა ვინაობაც ცხადი იქნებოდა.“

**ძოგა ინასარიძე**



რატი ალექსიძე (№8) ემოციებს ვერ მოერია

## ალექსიძე კონფლიქტში ჩაითრიეს

**ჯერჯერობით** ისევ ასეა — რატი ალექსიძე „ჩელსის“ ძირითადში ვერ ხვდება, ოდენ სარეზერვო გუნდში თამაშით იკლავს ჟინს. ინგლისის რეზერვისტთა ლიგის ბოლო ტურში ლონდონელებმა „ქოვენთრის“ უმასპინძლეს. „ჩელსიმ“ 1:0 იმარჯვა, რატი ალექსიძე კი ბოლო წუთებზე გააძევეს. როგორც „ჩელსის“ საინტერნეტო გვერდი იუწყება, ქართველი და ქოვენთრელი კალუმ დევენპორტი წაკინკლავებულან და არბიტრსაც ორივე მიუბრძანებია მოედნიდან.

— მატჩის დამთავრებამდე სამი წუთი რჩებოდა, როცა მაღალი ბურთისთვის მე და დევენპორტი ვიბრძოდით. მან ჯერ იდაყვი ჩამარტყა ზურგში და მერე მუშტიც მომაყოლა, მინდორზე დაშვებულს კი მუხლზე ქაცვები დამაჭირა, მერე მეორე ფეხზეც მომინდომა იგივე და მეც მოთმინებიდან გამოვედი, წამოდგომისას ხელი მომიხვდა, თორემ არ დამირტყამს, მაგრამ არბიტრმა მაინც ორივე გაგვაძევა — გვითხრა სატელეფონო საუბრისას რატი ალექსიძემ.

ამ სეზონში ჩელსელ ქართველს სარეზერვო გუნდში ოთხი თამაშიდან ორი გოლი აქვს გატანილი. ალექსიძეს, ცხადია, სხვა კლუბში გადასვლა და ძირითადში თამაში ურჩევნია, თუმც საამისო პერსპექტივა ჯერ არ ჩანს.

წლეულს, ზაფხულში ალექსიძით პირველი დივიზიონის „შეფილდ უენსდი“ კი დაინტერესდა, მაგრამ ბრიტანეთის შრომისა და დასაქმების დეპარტამენტმა ჩვენებურს კლუბის გამოცვლის ნება არ დართო — ახალი ტრანსფერისთვის ეროვნულ გუნდში ჩატარებული მატჩების არასაკმარისი რაოდენობის გამო. ნაკრებში ალექსანდრე ჩივაძის მოსვლის შედეგად რატიმ სამჯერ მოირგო შინდისფერი მაისური, მაგრამ ბრიტანეთის კანონების თანახმად, არაევროკავშირელს მხოლოდ 12 თვის შემდეგ აქვს უფლება ხელახალი თხოვნით მიმართოს ზემოთხსენებულ დეპარტამენტს ახალ ბრიტანულ კლუბში ტრანსფერის ნებართვისთვის. ჰოდა, რატი ალექსიძე და მისი აგენტი ახლა იმას ცდილობენ, რომ სხვა ქვეყნის კლუბებთან დაიჭირონ საქმე.

**დავით თავართქილაძე**



ნუკრი ვარდოსანიძის ფოტო

გუშინ სასტუმრო „სიმპათიაში“ აღმასკომის წევრები და ევროპელი სტუმრები პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას გარეშე შეიკრიბნენ



„მილანისგან“ „პერუჯას“ ძლევაში კახა კალაძის (უკან) წვლილიც იყო

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

**1/8 ფინალი**

საპასუხო მატჩები

ჩეხეთი 0:0 ხორვატია (1:1)
თურქეთი 2:1 საბერძნეთი (0:3)
ბელგია 2:0 შვედეთი (2:3)
ინგლისი 1:0 ჰოლანდია (2:2)
პორტუგალია 1:0 ესპანეთი (1:2)

### საფრანგეთი

**II დივიზიონი. XVI ტური**

სენტ ეტიენი 1:0 ნიმი
აიაჩო 3:0 ლე ავრი
კაენი 1:1 შატორუ
ლე მანი 2:2 ბოვე
ვასკალი 2:3 ნიორი
მარტიგი 0:0 ლავალი
გენიონი 1:1 ისტრი
კრეტეი 1:3 ნანსი
გრენობლი — სტრასბური
89-ზე ჩაიშალა

### ინგლისი

**I დივიზიონი**

გადადებული მატჩი

ბარნლი 1:0 უოტფორდი

**II დივიზიონი**

გადადებული მატჩი

უიგანი 6:1 სტოკ სიტი

### იტალია

**თასის 1/8 ფინალი. I მატჩი**

მილანი 3:0 პერუჯა

# პელეს რა უნდა მოედანზე?!

## სიონი 0:3 დინამო

ბოლნისი. 13 ნოემბერი. 14. 00 საათი. თემურ სტეფანია. 600 (ტევადობა 2 500)
პირველი მატჩი 0:2

0:1 დარასელია (27პ), 0:2 ვაშაკიძე (42), 0:3 მიკუჩაძე (83)

**სიონი:** ვოლკოვი (დალაქიშვილი 46), სიდამონიძე, შაკიაშვილი, კ. გოდერძიშვილი, პაპიძე, მინდიაშვილი, მოსეშვილი, თარგამაძე (ბარქაია 46), დაუშვილი (სვანიძე 73), მინაშვილი, ბარნოვი
სათადარიგონი: გლუნჩაძე, ამბიძე
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**დინამო:** ზოიძე (ბათიაშვილი 46), შალამბერიძე, კანდელაკი, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ა. სახვაძე, ამისულაშვილი, ბურდული, დარასელია (შავგულიძე 46), გ.-ვ. მიქაძე (მიკუჩაძე 67), ბობოხიძე
სათადარიგონი: ხუციშვილი, თუთარაშვილი, აფციაური
**მწვრთნელი:** გივი ნოდია

**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ი. შალამბერიძე, მ. ელიკაშვილი (სამივე თბილისი); ა. ორჯინიძე (ონი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ს. კუტივაძე

ჯარიმა: 5-17; კუთხური: 6-10; კარისკენ დარტყმა: 1-6; კარში დარტყმა: 3-6; ოფსაიდი: 2-2

**პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან**

**თასის** მერვედფინალის საპასუხო მატჩში წელგატეხილი დაუხვდა „სიონი“ „დინამოს“. ჯერ ერთი, ბოლნისელებს პირველ მატჩში 0:2 დამარცხების სიმძიმე აწვათ, თანაც გუშინ კუნთდაჭიმული ბესიკ შენგელია და შალვა ისიანი მოისაკლისეს. „დინამო“ კი საბრძოლო შემადგენლობით ჩავიდა ქვემო ქართლში, რათა ოფიციალურად გაეფორმებინა მეოთხედფინალის საგზური.

მატჩი მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. ბოლნისელები ზუსტად ათამაშებდნენ ბურთს და ნელ-ნელა გაუშინაურდნენ კიდეც სტუმართა საჯარიმოს. ეგ იყო, დამაგვირგვინებელ დარტყმებს ვერაფრით აზერხებდნენ თემურ მახარაძის ბიჭები. ამგვარი სცენარით თამაში 15-იოდე წუთს გაგრძელდა. მერე კი „დინამო“ დაეუფლა სათამაშო უპირატესობას და მატჩის სადავეები ბოლომდე აღარც გაუშვია ხელიდან.

პირველად სტუმრებმა მე-18 წუთზე იძალეს. სახვაძის სწრაფი გარღვევის შემდეგ ბობოხიძემ დაარტყა თორმეტიოდე მეტრიდან. ვოლკოვმა გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეძლო ბურთის კუთხურზე გადაგდება. წუთის შემდეგ ბურდულის კარგი პასი გააცუდა მიქაძემ. ორიოდ წუთში სტუმრებს ისევ ვოლკოვმა არ დაანება გატანა. მოკლედ, გოლი მოწიფდებოდა და სტუმრები გაიტანდნენ კიდეც, მატჩი სამი წუთით რომ არ შეწყვეტილიყო...

ანგარიში დარასელიამ გახსნა მას შემდეგ, რაც „სიონის“ კარში პენალტი დაინიშნა მიქაძის წაქცევისთვის. ორმატჩიანი დუელის გამარჯვებულის ვინაობაც ფაქტობრივად გაირკვა, რადგან „სიონი“ ოთხი უპასუხო გოლის გამტანი გუშინ არ იყო. ის კი არა, ბოლნისელებმა პირველი ტაიმის დარჩენილ დროში ერთხელაც ვერ გაიწიეს მეტოქის კარისკენ, მეტიც, ტაიმის ბოლოს ვოლკოვს მეორედ მოუხდა ბურთის კარიდან გამოტანა მას შემდეგ, რაც დარასელიას ჩაწოდებული კუთხურისას შეცდა და შორეულ ძელთან ჩასაფრებულმა ვაშაკიძემ აუღელვებლად გაახვია ბურთი ბადეში.

მეორე ტაიმში საინტერესო ბევრიც არაფერი მომხდარა. მარცხს შეგუებული ბოლნისელი გულშემატკივრები ოხუნჯობის ხასიათზე მოვიდნენ და თანამსაჯი ლამის შეაღონეს ავტოგრაფის თხოვნით. მოედანზე კი 83-ე წუთამდე თვალსასიერო არაფერი მომხდარა. ბოლნისელები უილაჯოდ ცდილობდნენ შეტევების ორგანიზებას, სტუმრები კი მასპინძელთა დაულაგებელ იერიშებს იოლად უმკლავდებოდნენ. 83-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა მიკუჩაძემ მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. მიკუჩაძემ მასპინძელთა შეცდომით ისარგებლა (ბოლნისელები ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას შეცდნენ) და დალაქიშვილთან პირისპირ გასულმა ფეხებშუა გაუტარა მეკარეს ბურთი.

მატჩის სამი წუთით შეწყვეტის მიზეზი კი არც მეტი, არც ნაკლები, „პელე“ გახლდათ, ყავისფერი ფეხმარდი, ძაღლი (უეჭველია, ფეხბურთის ქომაგი ნათლია ჰყავს), მედიდურად რომ შემოირბინა მოედანი. „პელემ“ ჯერ „სიონის“ საჯარიმოში ჩაირბინა „დინამოს“ კუთხურისას, მერე კი ირაკლი ზოიძეც მოიკითხა. ფეხბურთელები ამაოდ დაშვრნენ, მსაჯების მცდელობაც უნაყოფო გამოდგა — ვერაფრით გააგდეს ადამიანის მეგობარი. ისევ გულშემატკივრებმა იყოჩაღეს — საერთო ყიჟინაში მედიდურად დატოვა „პელემ“ ბოლნისური სარბიელი.



სამგურალელი შოთა ფუტკარაძე (ბურთით) და ვიტელი დავით დოლიძე

## ვიტ ჯორჯია 1:0 სამგურალი

მცხეთა. 13 ნოემბერი. 14.00 საათი არმაზი. 100 (ტევადობა 3 000)
პირველი მატჩი 2:0

1:0 გოჩაშვილი (24). წუწუნავამ ვერ გაიტანა პენალტი (38, მეკარე)

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, კობიაშვილი, ქანკოტაძე, მუჯირი, ნოზაძე, დ. დოლიძე, გოგობერიშვილი (ახალაძე 46), ზ. მეტრეველი, ადამია, წუწუნავა (მ. ცქიფურიშვილი 43), ვ. გოჩაშვილი (არეშიძე 67)
სათადარიგონი: მამარდაშვილი; ზაზაშვილი, თედორაძე, ბეროშვილი
**მწვრთნელი:** სერგო გაბელაია

**სამგურალი:** ვარდანიძე, ბერაძე, დ. ქელიძე, ცომაია, შ. ლონლაძე, დარსაძე, კოპალიანი (კიკვიძე 46), ნებიერიძე, გ.-ა. მიქაძე, ფუტკარაძე, ჯინჭარაძე
სათადარიგო: ბოდოკია;
**მწვრთნელი:** გია გიგატაძე

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა), ლ. სილაგაძე; ო. ხეცაძე (ორივე თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

ჯარიმა: 15-11; კუთხური: 7-0; კარისკენ დარტყმა: 5-4; კარში დარტყმა: 11-4; ოფსაიდი: 5-3

# დარჩიძემ, ისევ დარჩიძემ

## კოლხეთი 0:1 ბათუმი

ფოთი. 13 ნოემბერი. 14. 00 საათი. ფაზისი. 400 (ტევადობა 6 000)
პირველი მატჩი 1:3

0:1 დარჩიძე (39)

**კოლხეთი:** ჩემია, ტორჩინავა (ახვლედიანი 46, პ. ბაჩილავა 79), ნარსია, ქუტიძე, მ. ქობულაძე, ფანჩულიძე, კვეტენაძე, ე. გვასალია, წივწივაძე, მუმლაძე (კრასოვსკი 46), კვირკველია
სათადარიგონი: გიზო შენგელია; გოროზია, მიქელთაძე, პაპავა
**მწვრთნელი:** სოსო ფილია

**ბათუმი:** ჭანტურია, გ. ჩხაიძე, მინდაძე, თურმანიძე, არჩვაძე, ჩიჩუა (გვაზავა 46), ქაცარავა, ხუჯაძე, რომანაძე, დარჩიძე, აფხაზავა
სათადარიგონი: ბალაძე; ცინარიძე, ბეჟანიძე, სიხარულიძე, ინაიშვილი, გალოგრე
**მწვრთნელი:** ასლან ბალაძე

**გაფრთხილება:** ჭანტურია (39), წივწივაძე (53)

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

ჯარიმა (12-25), კუთხური (7-2), კარისკენ დარტყმა (9-0), კარში დარტყმა (4-4), თამაშგარე (0-6)

**იუზა კაციტაძე ფოთიდან**

**ორი კვირის** წინანდელ ბათუმურ მატჩში მასპინძლები აფხაზავას, ტულუშის და მაჭუტაძის გოლებით დაწინაურდნენ და ეს უპირატესობა ბოლომდე რომ შეენარჩუნებინათ საპასუხო თამაშს, ფაქტობრივად, აზრი დაეკარგებოდა. ოღონდ, მოხდა და საფინალომდე სამი წუთით ადრე კოლხმა მიქელთაძემ ერთი გაქვითა, რითაც ფოთელებს საშინაო შეხვედრაში გარკვეული შანსი მიეცათ. არა, 1:3-იც ძნელი ამოსაქაჩი გახლდათ, მაგრამ მაინც...

ოთხასამდე კაცმა თუ მოიყარა თავი „ფაზისზე“. ეტყობა, გული გაუტყდათ კოლხთა ქომაგებს. „ტორპედოსთან“ საეჭვოდ აღებულ სამ ქულას მათმა გუნდმა სამი წაგება (ბათუმში სათასოს ჩათვლით) მიაყოლა. და საერთოდაც, ძველებურად ვეღარ ირჯება.

გუშინ სოსო ფილიას და მის შეგირდებს, თუნდაც მცირეოდენ ქომაგთა წინაშე, რეაბილიტაციის საუკეთესო შესაძლებლობა ჰქონდათ. სხვა ფაქტორებს რომ თავი დავანებოთ, მეტოქე მათ საგრძნობლად შესუსტებული შემადგენლობით ესტუმრა — ბათუმელებმა სამი წამყვანი მოთამაშე მოისაკლისეს — სიცხიანი ტულუში, წელმტკივანი მაჭუტაძე და დისკვალიფიცირებული კობიძე. მაინც ვერ ივარგა ფილიამ და კომპანიამ. შანსის გამოყენებას ვინლა ჩივის, გუნდის უსახურმა თამაშმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

დიახ, ასე იყო და „კოლხეთი“ ერთხელაც შერცხვა. მასპინძლები თავიდანვე ვერ აეწყვნენ. მათი აქტიურობა მოჩვენებითი გახლდათ. ბათუმელებმა საგულდაგულოდ გადაკეტეს საკუთარი საჯარიმოს მისადგომები და მეტოქეს შეტევების გამწვავების საშუალება არ მისცეს. სხვა გამოსავალი რომ ვერ ნახეს, კოლხები შორიდან დარტყმებით შეეცადნენ ფონს გასვლას, მაგრამ ვერც ამაში იხეირეს. მე-15 წუთზე ნარსიას ძლიერად დარტყმული საჯარიმო ხარიხას გადასცდა, სამ წუთში კი ფანჩულიძეს მეკარემ აუღო.

საოცრად დინჯად იცავდნენ თავს სტუმრები, კონტრშეტევებსაც გააზრებულად ახორციელებდნენ და შუა ტაიმში გატანაც შეეძლოთ, თუმც ჩხაიძის მიერ კუთხეში დარტყმული ჩემიამ მოიგერია. კოლხთა მეკარემ 28-ე წუთზეც იხსნა თავისიანები, როდესაც აფხაზავას მიერ საჯარიმოს წინა ხაზიდან გასროლილი კუთხურზე გადააგდო.

მეორე ტაიმისთვის სოსო ფილიამ რამდენიმე ტაქტიკური გადაადგილება მოახდინა, თანაც ახვლედიანი და კრასოვსკი შეიყვანა მოედანზე, თუმც ამით თავისი გუნდის თამაში ვერ შეცვალა. ბათუმელები უფრო სწრაფად და გონივრულად მოქმედებდნენ და გარჯაც დაუფასდათ. ხუჯაძის ფლანგურ ჩაწოდებას კოლხთა საჯარიმოში დარჩიძე გამოეხმაურა, ზუსტი დაბალი დარტყმა მიაყოლა და ანგარიშიც გაიხსნა.

სტუმრები გოლის შემდეგაც ბევრად სჯობდნენ მასპინძლებს. 88-ე წუთზე აფხაზავას დარტყმული ხარიხამ აისხლიტა. კოლხებმა, თითქოს მანამდე დრო არ ჰქონდათ, მსაჯის მიერ წამატებულ ორ წუთში გამოიღეს ხელი და ორჯერ დაემუქრნენ ჭანტურიას კარს, ოღონდ წივწივაძის დარტყმული ლამის კარის ხაზიდან არჩვაძემ გამოიტანა და ფანჩულიძესაც არ გაუმართლა, მცველის ფეხიდან ბურთი კუთხურზე გადავარდა.

„ბათუმი“ მეოთხედფინალში გავიდა. 1998 წლის თასის მფლობელს და ოთხგზის ფინალისტს მიმდინარე გათამაშებაშიც დიდი მიზანი დაუსახავს.

„ბათუმი“ თასზე თამაშს „კოლხეთის“ გავლით მესამედ განაგრძობს. აქამდე ეს 1996-97 (3:1, 0:0) და 1999-2000 (3:0, 0:0) წლების გათამაშებებში იყო.




ქუთაისში

# იყიდება

☎ (231) 7 17 63

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ "სულიკოსთან"


# მერვედფინალური ვარჯიში

**კახა შალამბერიძე მცხეთიდან**

**გუშინდელი** მეტოქეების ბედი ორი კვირის წინ წყალტუბოში გაირკვა. მაშინ „ვიტ ჯორჯიამ“ 2:0 დაამარცხა „სამგურალი“ და მეოთხედფინალში გამსვლელის ვინაობაც ცხადი გახდა. აქედან გამომდინარე, საპასუხო მატჩმა ნაყოფიერი საწვრთნელი ვარჯიშის ხასიათი მიიღო.

სტუმრები ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე თამაშობდნენ. თავს მაინცდამაინც არც ვეტერინარები იკლავდნენ, თუმც ამის მიუხედავად, მათ არაერთი საგოლე მომენტი შექმნეს ვარდანიძის კართან. წყალტუბოელებმა კი თავი ვერაფრით დაგვამახსოვრეს.

მასპინძლებს უკვე საწყის ათ წუთში შეეძლოთ დაწინაურება, თუმც ჯერ გოჩაშვილმა ააცილა ხელსაყრელი მდგომარეობიდან, მერე კი გოგობერიშვილის ძლიერ დარტყმებს ზედიზედ ორჯერ გაუმკლავდა სტუმართა მეკარე.

საერთოდაც უნდა აღინიშნოს, რომ ოთარ ვარდანიძე ერთადერთი იყო, ვისი გამორჩევაც გუშინდელი მატჩიდან შეიძლებოდა. მან არაერთხელ იხსნა გუნდი გოლისგან, 38-ე წუთზე კი წუწუნავას პენალტიც აუღო. თუმც მანამდე ვეტერინარები გოჩაშვილმა დააწინაურა გიორგი ადამიას ლამაზი გარღვევის შემდეგ.

უპირატესობას მერეც მასპინძლები ფლობდნენ, წყალტუბოელებს კი სახიფათო მომენტის შექმნაც ძლიერ უჭირდათ.

ტაიმის მიწურულს ვეტერინარები ორჯერ დარჩნენ მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ჯერ ადამიამ და მოგვიანებით წუწუნავამ ვერ ივარგეს.

მოსაწყენი მატჩის პირველი ნახევარიც ამით დასრულდა.

მეორე 45 წუთში საინტერესო არაფერი მომხდარა გარდა იმისა, რომ ტაიმის შუაგულში ვარდანიძემ მეტრეველისა და არეშიძის დარტყმებს კარის ხაზი ცოცხალი თავით არ გადააკვეთინა.

„არმაზზე“ მისული ასამდე გულშემატკივარი კი თავს ძველი ამბების გახსენებითა და პოლიტიკით ირთობდა. საფინალო სასტვენის ხმის გაგონებისას ერთ-ერთმა მათგანმა ისიც თქვა, ჩვენს საუბარში თამაში დამთავრებულაო.

თამაში იყო თუ ვარჯიში, ეს კიდევ საკითხავია...

# საქართველოს თასი

### მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

ქობულეთი. ცენტრალური. 13 ნოემბერი. 14.00 საათი

## ქობულეთი 3:1 გორდა

პირველი მატჩი 0:2

1:0 ანჯაფარიძე (17), 1:1 ჟელაძე (30), 2:1 გეგეშიძე (43პ), 3:1 ბერიძე (65)

გაფრთხილება: თალაკვაძე, ბაჟუნაშვილი (ქობულეთი); ბურნაძე (გორდა)

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

ქუთაისი. ტორპედო. 13 ნოემბერი. 14.00 საათი

## ტორპედო 4:0 მერანი

პირველი მატჩი 1:0

1:0, 2:0, 3:0 იმედაძე (14, 26, 39), 4:0 იონანიძე (71)

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); დ. სანაია (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

გორი. ცენტრალური. 13 ნოემბერი. 14.00 საათი

## დილა 0:2 ლოკომოტივი

პირველი მატჩი 0:3

0:1 დათვაძე (34), 0:2 გოდერძიშვილი (73)

გაფრთხილება: მანჩხავა (ლოკომოტივი)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ზ. დოლიძე, მ. ურუშაძე; მ. მაისურაძე (სამივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ზესტაფონი. ცენტრალური. 14 ნოემბერი. 14.00 საათი

## მეტალურგი — თსუ

პირველი მატჩი 0:3

მსაჯები: ი. კახიანი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); მ. მალალურაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

გადაიდო

## მილანი — გურია

პირველი მატჩი 0:1




გია იმედაძე (№23) ქუთაისის „ტორპედოს" ჰეთ-ტრიკით დაუბრუნდა

# ოქროს დათო...



დავით ჩალაძე

**რუსეთსა** და ლატვიაში ჩემპიონატები დამთავრდა. თუ ბალტიისპირეთში ჩვენებურთა „სკონტომ" კვლავ თავი ისახელა და მეათედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ჩვენი რუსული ლეგიონის ამბებს მთლად სასიამოვნოს ვერ დავარქმევთ. მთელი სეზონის მანძილზე, უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ექვსი ქართველიდან (აქ კაკაშვილსა და ქოქიაშვილს არ ვგულისხმობთ, რადგან დუბლშემადგენლობის ფეხბურთელები არიან) ძირითადში მხოლოდ ზაზა ჯანაშია და ედიკ საჯაია ჩნდებოდნენ. საჯაია „ტორპედოში" შემოდგომაზე გადავიდა და საკმარისი თამაშებიც ამიტომ ვერ მოუგროვდა, ჯანაშია კი მეორე წრეში ერთთავად სათადარიგოთა სკამზე იჯდა და ალბათ „ლოკომოტივში" თავისი ბოლო სეზონი ჩაატარა. მწვრთნელი იური სიომინი ამბობს, რომ ზაზას სხვა გუნდში გადასვლას ხელს არ შეუშლის, რუსი ჟურნალისტები კი ვარაუდობენ, რომ ჯანაშია ისევ ამ ქვეყნის რომელიმე კლუბში გააგრძელებს კარიერას.

აი, რიგის „სკონტო" კი მოულოდნელად გახდა ლატვიის ჩემპიონი. ბოლო ტურში ლიდერ „ვენტსპილსს" დაუგავაპილსში „დინაბურგთან" რომ არ წაეგო პირველობაც მისი იყო, მაგრამ 0:1 დამარცხდა, ხოლო „სკონტომ" სტუმრად „მეტალურგსს" 2:1 მოუგო და ოქროს მედლებს ზედიზედ მეათედ დაეპატრონა. გუშინდელ „სარბიელში" რიგელთა კაპიტან ალექსანდრე რეხვიაშვილის მონაყოლს წაიკითხავდით, დღეს კი ლატვიელი ჟურნალისტების კომენტარს გავეცნოთ. „მატჩის ბოლო წამებია. რეხვიაშვილი, რომელიც ამ დღეს არ თამაშობდა, სათადარიგოებს ეკითხება: „რა ხდება დაუგავაპილსში?" პასუხი გადასარევია — „ვენტსპილსი" აგებსო. წამიც და მთელი გუნდი მოედნის ცენტრისკენ გარბის, ბედნიერები მწვრთნელ სტარკოვს აბურთავებენ და ერთგულ ქომაგებს მადლობას უხდიან. ჯერ კიდევ საათნახევრით ადრე ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ყველაფერი ასე დამთავრდებოდა..."

გამარჯვების გოლი 74-ე წუთზე დავით ჩალაძემ გაიტანა. ეს სეზონში მისი 21-ე ბურთი გახლდათ და ბომბარდირთა დავაში მხოლოდ თანაგუნდელ მიხოლაპსსა და მეტალურგსელ კატასონოვს (23-23) ჩამორჩა: „გამარჯვებისთვის გატანაა საჭირო. რა მნიშვნელობა აქვს ლამაზი იქნება თუ არა გოლი — წერენ ლატვიელები — ჩალაძემ საჯარიმოში მიიღო ბურთი, მთლად ხეირიანად ვერ დაარტყა, მაგრამ ვერც მეკარემ მოიგერია და ახლო დაბალ კუთხეში გაუშვა. თუმცა ეს ჩალაძეს სულაც აღარ აინტერესებდა, დათო თავისი გულშემატკივრების ტრიბუნისკენ გაიქცა, რომლებიც „ოქროს გოლს" დიდი ყიჟინითა და ხტუნვით შეხვდნენ."

მერე სტარკოვმა თქვა: „სეზონის ბოლოს ჩალაძე ჩინებულად ათამაშდა, ბევრი მნიშვნელოვანი ქულის მოპოვებაში დაგვეხმარა და გუნდს თვითრწმენა გაუმყარა. აკი „ოქროს გოლიც" გაიტანა..." მოკლედ დათო სკონტოელთა კერპი გახდა.

ბოლო დროს ჩავარდნილმა „ციურიხმა" შვეიცარიის თასის მეთექვსმეტედფინალში ქვედალიგელ „შოცს" 3:0 მოუგო. პირველი გოლი 41-ე წუთზე მიხეილ ყაველაშვილმა შეაგდო, მერე გერერომ ორიც დაამატა და მერვედფინალში ციურიხელები „შაფჰაუზენს" შეხვდებიან.

**სოლომონ გულისაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | ჰართსი 0:2 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 1 | 6 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | ჰართსი 0:2 | 90 | | 14 | 0 | 6 |
| თემურ ქეცბაია | დანდი | ს | ჰართსი 0:2 | 90 | | 4 | 1 | 6 |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | | ტური გამოტოვა | | | 4 | 2 | 2 |
| **იტალია. თასის მერვედფინალი** | | | | | | | | |
| დავით დილმელაშვილი | სიენა | ს | ლაციო 1:2 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 1 | 0 | |
| ლევან მელქაძე | სიენა | ს | ლაციო 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | |
| **ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | სოსიედადი | შ | მალიორკა 1:2 | 0 | | 6 | 1 | 19 |
| **შვეიცარია. თასის მეთექვსმეტედფინალი** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | შოცი 3:0 | 90 | | 1 | 0 | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | შოცი 3:0 | 64 | 1 გოლი, შეცვალეს | 1 | 1 | |
| **რუსეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | შ | სპარტაკი 2:1 | 0 | სათადარიგო | 20 | 2 | 2 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ლოკომოტივი | შ | სპარტაკი 2:1 | 0 | სარე[illegible]ო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | როსტსელმაში | ს | ალანია 0:3 | 0 | | 4 | 0 | 12 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | ალანია 0:3 | 0 | სათადარიგო | 2 | -4 | 12 |
| კახა მჟავანაძე | სპარტაკი | ს | ლოკომოტივი 1:2 | 90 | | 4 | 0 | 1 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | ს | ლოკომოტივი 1:2 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | სოკოლი | შ | ცსკა 0:2 | 0 | | 0 | 0 | 8 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | შ | ზილ 1:0 | 58 | შეცვალეს | 5 | 0 | 4 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მიქაძე | ცსკა | ს | ვორსკლა 0:1 | 90 | | 11 | 0 | 11 |
| **პოლონეთი. თასის მერვედფინალი** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | ს | პოლკოვიცე 1:0 | 0 | | 0 | 0 | |
| **უნგრეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| კახაბერ ჩხეტიანი | დებრეცენი | შ | ჰალადაში 2:0 | 87 | შეცვალეს | 11 | 0 | 8 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | შ | ნეფტოხიმიკი 1:1 | 90 | | 8 | 0 | 12 |
| **კვიპროსი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | ალკი 2:0 | 70 | 1 გოლი, შეცვალეს | 4 | 2 | 4 |
| ლევან მაღრაძე | პაფოსი | ს | კატოკოპიასი 6:2 | 90 | 1 გოლი | 8 | 3 | 11 |
| გიორგი ქორიძე | არადიპუ | შ | აპოელი 0:5 | 90 | | 8 | 3 | 14 |
| გურამ ასპინძელაშვილი | არადიპუ | შ | აპოელი 0:5 | 90 | | 7 | 0 | 14 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | მეტალურგსი 2:1 | 0 | | 15 | 1 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | მეტალურგსი 2:1 | 19 | შეცვლაზე ითამაშა | 19 | 2 | 1 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | მეტალურგსი 2:1 | 89 | 1 გოლი, გააფრთ., შეცვალეს | 23 | 21 | 1 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | მეტალურგსი 2:1 | 0 | | 23 | 5 | 1 |
| გივი კვარაცხელია | სკონტო | ს | მეტალურგსი 2:1 | 90 | | 9 | 1 | 1 |
| თამაზ პერტია | რიგა | შ | დაუგავა 0:2 | 0 | | 12 | 1 | 7 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
## პლეი ოფი. საპასუხო მატჩები

# გერმანელებს ზურგი ექავებათ: ფრთები ამოსდით

## ირანელებმა ქალის ადგილი იციან: მაგათ სტადიონზე რა უნდათ!

*დღეს ღამით კორეა-იაპონიაში წამსვლელი გუნდების რაოდენობა კიდევ ხუთით გაიზრდება — ერთი სამხრეთამერიკელი მეოთხეადგილოსანი იქნება, ოთხი კი ევროპული პლეი ოფების გამარჯვებული. მათ ხვალ ერთიც შეუერთდება, ირანსა და ირლანდიას შორის უმჯობესი, და ჯამში მივიღებთ ოცდათერთმეტს. ბოლო, ოცდამეთორმეტე საგზურს კი სამხრეთ ამერიკის მეხუთე გუნდი და ავსტრალია შეეცილებიან ერთმანეთს.*

*რაკი ევროპული პლეი ოფის პირველი მატჩები წინა შაბათს გაიმართა, მას მერე კი მხოლოდ ოთხი დღე გავიდა, საპასუხო მატჩების წინ სათქმელი ბევრიც არაფერია — გუნდებში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები თითქმის არ მომხდარა, ამიტომ ქვემოთ მეტწილად მეტოქეთა განწყობაზე ვილაპარაკებთ.*

### გერმანია — უკრაინა (1:1)

**დორტმუნდი. 14 ნოემბერი. „ვესტფალენშტადიონი“.**
**მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)**

**სავარაუდო შემადგენლობები**

კანი, რემერი, ციგე, ლინკე, იენს ნოვოტნი, რამელო, ბ. შნაიდერი, ჰამანი, ბალაკი, იანკერი, ნოივილი

ლევიცკი, პარფიონოვი, ნესმაჩნი, გოლოვკო, ვაშჩუკი, გუსინი, ტიმოშჩუკი, ზუბოვი, შიშჩენკო, შევჩენკო, ვორობეი

### რუმინეთი — სლოვენია (1:2)

**ბუქარესტი. 14 ნოემბერი. „სტიაუა“.**
**მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)**

**სავარაუდო შემადგენლობები**

ლობონტი (ან სტელია), კონტრა, მიუ (ან იენჩში), პოპესკუ, კივუ, საბეუ, გიოანე, დ. მუნტიანუ, მუტუ, მ. ნიკულაე, ა. ილიე

სიმეუნოვიჩი, ვუგდალიჩი, გალიჩი, მილინოვიჩი, ნოვაკი, ა. ჩეჰი, პავლინი, რუდონია, ნ. ჩეჰი, აჩიმოვიჩი, ოსტერცი

### ჩეხეთი — ბელგია (0:1)

**პრაღა. 14 ნოემბერი. „ლეტნა“.**
**მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)**

**სავარაუდო შემადგენლობები**

სრნიჩეკი, იუჟფალუში, ირჟი ნოვოტნი, ნედვედი, იოჰანა, იანკულოვსკი, შმიცერი, პობორსკი, ბაროში, როსიცკი, იან კოლერი

დე ფლიგერი, დეფლანდრე, კლემენტი, ვან მეირი, ვან კერკჰოვენი, სიმონსი, ვერმანტი, გოორი, ვილმოტსი, ვალემი, ვერჰეინი

### თურქეთი — ავსტრია (1:0)

**სტამბოლი. 14 ნოემბერი. „ალი სამი იენი“.**
**მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)**

**სავარაუდო შემადგენლობები**

რუშთუ, ალფაი, ემრე ასიქი, უმით ოზატი, აბდულა, ოკანი, თუგაი, დავალა უმითი, არიფი, ბაშთურქი, ჰაქან შუქური

ვოლფარტი, ფლოგელი, ვუკოვიჩი, ვინკლჰოფერი, ბაური, ლექსა, შტრაფნერი, ჰიდენი, ვასტიჩი, ა. ჰერცოგი, ჰაასი

### ირანი — ირლანდია (0:2)

**თეირანი. 15 ნოემბერი. „ეროვნული“.**
**მსაჯი: უილიამ მატუს ვეგა (კოსტა რიკა)**

**სავარაუდო შემადგენლობები**

მირზაფური, დინმოჰამადი, პეიროვანი, ჰაშემინასაბი, ქარიმი, ბაგერი, მინავანდ ჩალი, მაჰდავიკია, ქავიანფური, ვაჰედინიქბახტი, დაეი

გივენი, ფინანი, ბრინი, სტონტონი, ჰარტი, მაკატირი, ჰოლანდი, კინსელა, კილბეინი, ნ. ქუინი, რობი კინი

***დორტმუნდული მატჩის წინ ყველა გამარჯვებას მოითხოვს.*** სხვაგვარად ვერც გერმანელებს წარმოუდგენიათ, ვერც უკრაინელებს.

აი, რას ამბობს გერმანელთა ყოფილი მწვრთნელი, ამჟამად ქუვეითის ნაკრების თავკაცი ბერტი ფოგტსი: „თუ 2006 წელს გერმანიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატების მიღწევა გვსურს და ეს კი ნამდვილად გვინდა, კორეა-იაპონიაში უეჭველად უნდა გავემგზავროთ. ეს თუნდაც იმისთვის არის საჭირო, რომ ახალმა თაობამ გამოცდილება შეიძინოს. რაც შეეხება უკრაინასთან მატჩს, ვფიქრობ, თამაში ოლივერ ბირჰოფის გარშემო უნდა აეწყოს. მჯერა, ის კვლავაც შეძლებს გადამწყვეტი გოლის გატანას“.

გერმანული პრესა ხომ საერთოდ წალეკილია ბუნდესნაკრების წამახალისებელი სათაურებით. აი, რამდენიმე მათგანი: „ერთი გოლი და ათასი იმედი“, „რუდი, შენ შეძლებ ამას!“, „იაპონელებო, ჩვენ მოვდივართ“, „მსოფლიოს ჩემპიონატის კარი სანახევროდ გაიღო“, „კიევიდან იმედი ჩამოვიტანეთ“, „გერმანიის ნაკრები ჯოჯოხეთიდან ზეცისკენ მიიწევს“.

ისე არ გამოგვივიდეს, თითქოს გერმანელებს მასობრივი ფსიქოზი შეჰყროდეთ და დაეჭვებული ადამიანები არ არსებობდნენ. მათ შორისაა ფრანც ბეკენბაუერი, რომელმაც თავისი მოსაზრება „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ჩამოაყალიბა:

„ზოგიერთი სათამაშო კომპონენტი აშკარად დასახვეწია, თუმცა რამდენიმე სახარბიელო სიახლეც შევნიშნე, მაგალითად, ბერნდ შნაიდერის საიმედო თამაში მარჯვენა ფლანგზე. ფეხბურთელები კი მინდა, გავაფრთხილო, რაც რუდი ფიოლერმა, ალბათ, უკვე გააკეთა: არ იფიქროთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე მოხვდით. უკრაინელები გასვლაზე უფრო ძლიერად თამაშობენ, ვიდრე შინ. „ბებერი მელა“ ლობანოვსკი კონტრშეტევების ორგანიზებაში ძალიან ძლიერია. ბლოხინიდან შევჩენკომდე ყოველთვის ასე იყო და არის.

ამასთანვე ვფიქრობ, რომ ალექსანდრ ციკლერი და ჯერალდ ასამოა კარსტენ იანკერითა და ლარს რიკენით უნდა შევცვალოთ. რაც შეეხება ოლივერ ბირჰოფს, მისი დამსახურება გერმანული ფეხბურთის წინაშე განუზომელია, მაგრამ მაინც — მას დაფიქრება მართებს, ხომ არ დაუდგა ნაკრებიდან წასვლის დრო“.

***უკრაინელები გერმანიაში რიხიანად მიდიან.*** გრიგორი სურკისი, ფედერაციის პრეზიდენტი: „დორტმუნდში სულ სხვანაირი თამაში იქნება. ჩვენ აუცილებლად გვჭირდება სულ მცირე, ერთი გოლი. ვალერი ლობანოვსკიმ იცის, როგორ მოამზადოს გუნდი გასვლითი მატჩისთვის და ვფიქრობ, შანსს ხელიდან არ გავუშვებთ“.

გენადი ზუბოვი, ნახევარმცველი: „ნუ დაგვავიწყდება, რომ კიევში მხოლოდ პირველი ტაიმი ვითამაშეთ, გადამწყვეტი ბრძოლა წინაა“.

მაქსიმ ლევიცკი, მეკარე: „დაკარგული არაფერია. ვფიქრობ, გერმანელები შინ უფრო ფრთხილად ითამაშებენ და რისკზე არ წავლენ. ეს ჩვენ მოგების შანსს გვმატებს“.

ანდრეი ვორობეი, თავდამსხმელი: „კიევში გერმანელებმა ვერაფრით გაგვაკვირვეს, ჩვეულებრივად ითამაშეს და თუ პირველ მატჩში გვქონდა მოგების შესაძლებლობა, დორტმუნდში ვითომ რატომ არ უნდა გვქონდეს? ცხადია, მხოლოდ მოგებაზე ვიფიქრებთ და რა გამოგვივა, ვნახოთ“.

გერმანია — უკრაინის საპასუხო მატჩის წინ ერთი სიახლეც არის. ლევერკუზენელმა ოლივერ ნოივილმა დისკვალიფიკაცია მოიხადა და სავარაუდოდ სასტარტო შემადგენლობაში იქნება.

აქვე შეგახსენებთ, რომ გერმანელებს მსოფლიოს ჩემპიონატზე გასასვლელად უგოლო ფრეც ჰყოფნით.

***ბევრი მიიჩნევდა, რომ ჩეხები ბელგიის ნაკრებს ბრიუსელშიც დაამარცხებდნენ და შინაც.*** ბრიუსელური მატჩი, მოგეხსენებათ, მასპინძლებმა მოიგეს. საპასუხო შეხვედრის შედეგის პროგნოზისგან კი თავი შევიკავოთ.

ამასობაში მომჯობინებულა ბელგიელთა კაპიტანი, „შალკეს“ ნახევარმცველი მარკ ვილმოტსი და მწვრთნელი რობერ ვასეჟი ამბობს, ალბათ, სასტარტო შემადგენლობაშიც იქნებაო.

საპასუხო მატჩისთვის ჩეხებმაც დაიმატეს ერთი ფეხბურთელი — 25 წლის ლიბერეცელი მცველი პეტრ იოჰანა. ოღონდ ეს მიწვევა იძულებითი ხასიათისაა, რაკი იოჰანამ ბრიუსელში დაშავებული ზდენეკ გრიგერა უნდა შეცვალოს. ჩეხებს, მათდა სამწუხაროდ, არც ვესტჰემელი ტომაშ რეეპკა ეყოლებათ, რომელმაც შაბათს წითელი ბარათი მიიღო. სამაგიეროდ ჩეხებს იან კოლერი და ტომაშ როსიცკი დაემატება.

ამგვარი ცნობებისა და შინ გამარჯვების შემდეგ ბელგიურ პრესაში იმედიანი სტატიები გახშირდა.

„ლა დერნიე“: „წესით, ერთბურთიანი უპირატესობა საკმარისი უნდა აღმოჩნდეს. თუ სტატისტიკას გადავავლებთ თვალს, გუნდების 59 პროცენტი, რომლებიც პირველ მატჩს 1:0 იგებენ, ორი შეხვედრის ჯამშიც იმარჯვებენ“.

***ირანელებს რომ არცთუ სახარბიელოდ აქვთ საქმე, მტკიცება არ უნდა.*** ორბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა იოლი საქმე არ არის, და მიუხედავად ამისა, ირანელებს სხვა პრობლემა უფრო აწუხებთ — თეირანში მიმავალ ირლანდიელ ქომაგთა შორის სამასიოდე ქალია. პრობლემაა? დიახაც, ირანში არის.

თეირანის ვიცე-გუბერნატორი ამბობს: „ქალების სტადიონზე შეშვება ყოვლად დაუშვებელია“. ამ განცხადების წინა დღეს ფუნდამენტალისტურმა გაზეთმა „ჯომჰური ისლამმა“ დაწერა, პირტიტველა ქალების გამოჩენა დიდად ალაშფოთებს ჩვენს სულიერ მამებს და ეგებ, ცუდი ამბები დატრიალდესო.

ირანში ირლანდიის ელჩმა ეს ამბავი რომ შეიტყო, მხრები აიჩეჩა, ჩემთვის მსგავსი რამ არავის უთქვამს და თუ მართლაც ასე მოხდა, რა პასუხს გასცემენ იმ ქომაგ ქალებს, რომლებიც ახლა უკვე თვითმფრინავებში სხედანო?

ქალებით თუ უქალებოდ, მატჩი მაინც ჩატარდება და მასში როი კინი ვერ ითამაშებს. ირლანდიელთა კაპიტანმა ორშაბათს სამედიცინო შემოწმება გაიარა, რომელმაც დაადგინა, რომ მანჩესტერელის მუხლი საოპერაციოა. არადა, ადრე ვარაუდობდნენ, მკურნალობა დასრულდაო.

მიკ მაკარტიმ, ირლანდიელთა მწვრთნელმა, კინის ნაცვლად ირანში ჩარლტონელი მარკ კინსელა იახლა და თქვა: „კინსელა ჩინებული ფეხბურთელია. ის ფაქტორიც, რომ იგი თავისი კლუბის კაპიტანია, ნაკრებს დიდად წაადგება“.

რუმინეთ — სლოვენიისა და თურქეთ — ავსტრიის საპასუხო მატჩების წინ გუნდებში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის.

**ირაკლი ნინიძე**



გერმანელებს უგოლო ფრეც კი აწყობთ, მაგრამ მიხაელ ბალაკი (მარცხნივ) და კარსტენ იანკერი გატანას, ცხადია, მაინც ეცდებიან



ტიმი სიმონსი, პეტერ ვან ჰუდტი და მარკ ჰენდრიქსი. ეყოფათ ბელგიელებს საპრაღოდ ერთი გოლი?

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი სამხრეთ ამერიკა. XVIII ტური



REUTERS ფოტოქრონიკიდან

ბრაზილიის ნაკრები ჭერჭერობით კარგ ხასიათზეა

# ილოცე, ბრაზილია!

**ბრაზილია — ვენესუელა**
**ჩილე — ეკვადორი**
**პარაგვაი — კოლუმბია**
**პერუ — ბოლივია**
**ურუგვაი — არგენტინა**

**ერთი ტურიც** და კორეა-იაპონიის მეოთხე სამხრეთამერიკელი სტუმარის ვინაობაც გაირკვევა. მეხუთეადგილოსანს კი ავსტრალიის ნაკრებთან ორრაუნდიანი ჭიდილი მოუწევს.

სამხრეთ ამერიკაში დარჩენილ ვაკანსიებზე პრეტენზიას სამი ნაკრები აცხადებს.

სახელოვანი და ოდესღაც მჭუხარე ბრაზილიელები სწორედ რომ ამ სამეულში არიან და აქ კი ფავორიტებადაც ითვლებიან — შესარჩევი ჯგუფის ბოლო მატჩში ვენესუელის ნაკრებს შინ ეთამაშებიან. ტეტრაკამპეონებს მათი ძლევა წესით არ უნდა გაუჭირდეთ, მაგრამ... ვინ იცის, დღეს ფეხბურთს ყველგან თამაშობენ, მსოფლიოს ოთხგზის ტრიუმფატორები კი ველარ მოგვაგონებენ დიდი ოსტატებისა თუ ფეხბურთის მეფის მემკვიდრეებს.

ვენესუელელებს ამ თამაშის მოგება ანაც ფრე, სატურნირო თვალსაზრისით, არაფერში სჭირდებათ, ბრაზილიელთათვის კი მათთან გაფუჭება სირცხვილის ოკეანეში ჩაძრჩობაა. თუმცა ამ პატარა საფეხბურთო ქვეყნის ბოლოდროინდელი ბურთაობა ტორსიდას გვარიანად აფიქრებს. ვენესუელის ნაკრები ბოლო ოთხი ტურია, თამაშს თამაშზე იგებს. აღარც მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვების გულმოდგინე მაძიებელ ურუგვაელებს ინდობს და არც შესარჩევ ჯგუფში მეორე, პარაგვაელებს უფრთხის.

ბრაზილია სუნთქვაშეკრული ელის მეტოქეს. „ვენესუელასთან მატჩი სამკვდრო-სასიცოცხლო იქნება" — ამბობს რობერტო კარლოსი. როგორც ვხედავთ, მადრიდის „რეალის" მცველი ფრთხილობს და ამით მწვრთნელ ლუიშ ფელიპე სკოლარის მიერ დაიმედებულ ქომაგებს მწარე სინამდვილესაც აჩვენებს. სამარცხვინო რამაა, ბრაზილიას ვენესუელისა ეშინოდეს, მაგრამ რას ვიზამთ, დღეს ასეა.

სკოლარი იმასაც ამბობდა, ბოლივიაში მოვიგებთო, მაგრამ რაც მოხდა, ყველამ კარგად იცის. „დიდი ფილის" სიტყვა ბრაზილიაში გაუფასურდა. ტორსიდაც დრტვინავს. გულშემატკივარი, რაღა თქმა უნდა, მწვრთნელს მოგებას სთხოვს, წუხს, რომ გუნდში გოლის გამტანი არ მოეძებნებათ და რომარიოს სახელსაც ამ ბოლო დროს ხშირად იხსენებს. გასაკვირი არცაა, უბერებელი ფეხბურთელი, მცირე ტრავმის მიუხედავად, ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირია. შესარჩევ ეტაპზეც არ შეურცხვენია თავი, მაგრამ სკოლარი ქვას აგდებს, თავს უშვერს და... ნაკრების შეტევის ხაზი კი კვლავ უსახური რჩება.

ბრაზილიელებს ვერც „რომაში" მობურთალი კაფუ დაეხმარებათ დისკვალიფიკაციის გამო. სამაგიეროდ, ითამაშებს რობერტო კარლოსი. ქომაგთა ჯილას მუხლი კვლავაც აწუხებს, არც მკურნალობის კურსი ჩაუმთავრებია, მაგრამ გული ერჩის და მატჩისთვის სერიოზულად ემზადება: „ჩვენ მხოლოდ მოგება გვინდა. ურთულესი თამაში გველის. კარგი იქნება, თუ თავიდანვე დავწყნარდებით და მატჩის დასაწყისში ორი ბურთის გატანას მოვახერხებთ".

ვგონებთ, ბრაზილიელებმა, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად არნახულ გასაჭირში იმყოფებიან, უნდა მოიგონ. სხვა გზა არ არის. სხვა თუ არაფერი, უბრაზილიო მსოფლიოს ჩემპიონატი ცოტა ძნელი წარმოსადგენია.

ბრაზილიელთა მდევარ ურუგვაელებსაც სამი ქულა სჭირდებათ. ისინი არგენტინის ნაკრებს შეერკინებიან. მარსელო ბიელსა უკვე რა ხანია, გუნდს კორეა-იაპონიისთვის ავარჯიშებს და მეტოქეებსაც ნავარდ-ნავარდით ამარცხებს. მას თავი ქუდში აქვს, აზიური მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური კი ჯიბეში. არგენტინელთა სათადარიგოთა სკამიც საკმაოდ გრძელია და ბიელსაც რიგრიგობით ცდის თავის შეგირდებს. ამჯერად მისი გუნდი „ბოკა ხუნიორსის" ფეხბურთელებს, ხუან რომან რიკელმესა და გილერმე ბაროს შელოტოს მოისაკლისებს, თუმც ეს დიდი უბედურება არ გახლავთ. ბიელსამ საკონტინენტთაშორისო თასზე მატჩისთვის მზადებაში „ბოკას" ხელი არ შეუშალა და გუნდში ხარვეზის შევსებაც, ცხადია, არ გასჭირვებია. მან ამჯერად ნაკრებში „ველეს სარსფილდის" თავდამსხმელი დარიო ხუსაინი იხმო.

ურუგვაელებს უმძიმესი მატჩი ელით. ფსიქოლოგიური წნეხიც, რა თქმა უნდა, უდიდესია. ალვარო რეკობა: „ჩვენთვის ეს ფინალია. ვფიქრობ, მეხუთე ადგილისთვის უნდა ვიბრძოლოთ. მეოთხე ადგილი და მსოფლიოს ჩემპიონატის პირდაპირი საგზური შეიძლება მხოლოდ სასწაულმა გვარგუნოს". სასწაული კი ბრაზილიელთა მარცხი იქნება, რისიც სხვებთან ერთად არც ურუგვაელთა თავდამსხმელს სჯერა. აი, მეხუთე ადგილი კი მართლაც რეალურია. ურუგვაელებს ამ მიზნის მისაღწევად მონტევიდეოს „სენტენარიოზე" ერთი ქულაც კი ხელს აძლევთ, რადგანაც ძნელი საფიქრებელია, რომ მეექვსე ადგილზე მყოფ კოლუმბიელებს კორეა-იაპონიაგანაღდებული პარაგვაელები დაუწვნენ და შინ ოთხი ბურთის სხვაობით მოაგებინონ.

„სენტენარიო" ის ადგილია, სადაც სამოცდათერთმეტი წლის წინ ურუგვაიმ არგენტინის ნაკრები 4:2 დაამარცხა და მსოფლიოს პირველი ჩემპიონი გახდა. შორეული წარსულის დიდება დღეს ურუგვაელებისთვის მაინცდამაინც დიდი შემწე ვერაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ არგენტინელთა უმოტივაციობას, „ბოკას" საკონტინენტთაშორისო თასისთვის მატჩს „ბაიერნთან", კრესპოს, ბატისტუტასა და გალიარდოს არყოფნას, მასპინძელთა წარმატების შანსები იზრდება.

როგორც ჩანს, ძველი ფავორიტების დრო მიდის. ბრაზილიას, ურუგვაისა და კოლუმბიას თავში საცემად აქვთ საქმე მაშინ, როდესაც ეკვადორის ნაკრები გვაოცებს და დიდებთან დაპირისპირებაში ღირსეულად, ისტორიაში პირველად მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს ეუფლება. ადვილი წარმოსადგენია სიხარული, რომელიც ამ ქვეყნის მოსახლეობას და თვით ნაკრების ფეხბურთელებს შორის სუფევს. ეკვადორის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული გუნდის ფეხბურთელთა გარჯის დასაფასებლად გადაწყვიტა, ოთხი მილიონი ლატარიის ბილეთი გაყიდოს. შემოსავლის დიდი ნაწილი, ორი მილიონ ექვსასი ათასი დოლარი, ნაკრების ფეხბურთელებს გადაეცემათ. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს თანხა იმ მილიონ შვიდასი ათასს დაემატება, რაც გუნდმა შესარჩევ თამაშებში წარმატებული გამოსვლით დაიმსახურა.



REUTERS ფოტოქრონიკიდან

რობერტო კარლოსი

ბოლო თხუთმეტი წელია (ცოტა მეტიც), „იუტა" კარლ მელოუნის და ჯონ სტოქტონის გუნდად ითვლება და თუკი რამისთვის მიუღწევია, ამ ორის წყალობით. უბერებელი ბებერების დუეტმა „ორლანდოსთან" თავი არ შეირცხვინა. კარლ მელოუნმა სეზონში უმეტესი, 29 ქულა მოაგროვა და ამაში სტოქტონის პასები დაეხმარა, მაგრამ ნურც იმ ჯაზმენებს დავივიწყებთ, ძირითადად ეპიზოდური როლების შესრულება რომ ევალებათ და „ორლანდოს" დამარცხებაში მთავარი როლი ითამაშეს.

ესენი არიან გრეგ ოსტერტაგი და ანდრეი კირილენკო. ეს უკანასკნელი, რუსი ახალბედა თავდამსხმელი იოლად გაშინაურდა ნბა-ში და ყოველ მატჩში ზრდის ნათამაშევ წუთებს.

„გრეგმა ალბათ გააცნობიერა, რომ როცა ასე თამაშობს, ყველა დანარჩენს გვიადვილებს საქმეს" — თქვა ნამატჩევს კარლ მელოუნმა. ოსტერტაგს „იუტას" მაისურა ბარე სამას თამაშში მოურგია, მაგრამ „ჯაზს" მისგან ასეთი სარგებელი ათ მათგანშიც ვერ მიუღია. „იუტას" ცენტრმა 14 ქულასა და 12 მოხსნასთან ერთად რვა დაფარებაც მოიხვეჭა. იგი აფარებდა ყველას, თვით უტექნიკურეს ბიჭებს — ტრეისი მაკგრეიდის და გრანტ ჰილს. ოთხი დაფარება მოუგროვდა კირილენკოს, ჯამში კი „იუტამ" მეტოქის თვრამეტი სროლა უკუაგდო. მაღალმა მასპინძლებმა ფარი სრულად მიისაკუთრეს და სტუმრები იქ არ გააჭაჭანეს.

ნიჭიერი ბიჭებით სავსე „ორლანდოს" მთავარი იარაღი შორი და საშუალო მანძილიდან სროლები და სწრაფი გარღვევებია, ეს საქმეები კი მაკგრეიდის და ჰილს ყველაზე თუ არა, ბევრზე უკეთ ეხერხებათ, მაგრამ ორშაბათი მათი დღე არ იყო. სროლაში ხელმოცარული ორი ორლანდოელი (ჰილმა 16 სროლიდან 3 ჩააგდო, მაკგრეიდიმ 18-დან — 5) გარღვევების ხარჯზე ცდილობდა ქულების დაგროვებას, ფარქვეშ შეჭრილი კი ოსტერტაგის ანაც კირილენკოს ხელში ვარდებოდა. „იუტა" მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას და იოლად მოიპოვა რვა თამაშში მესამე გამარჯვება.



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

იუტა — ორლანდო. ჯონ სტოქტონი ორლანდოელ ტროი ჰადსონს გაურბის

ორშაბათის მეორე შეხვედრაში „მემფის გრიზლიზი" „გოლდენ სტეიტ ვორიორზს" დაუხვდა პირამიდის ფორმის და სახელის მქონე დარბაზში და, რა თქმა უნდა, წააგო.

**ირაკლი ფირაშვილი**



ევროპის გუნდური ჩემპიონატი
ლეონი (ესპანეთი)

# ფრანგები და ბაადური

**ისე** წავიდა საქმეები, საქართველოს ვერც ვაჟთა და ვერც ქალთა ნაკრებს ესპანურ ლეონში მიმდინარე ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე მედლებით ალბათ ვერ ვიხილავთ. ჯერ წინაა სამი ტური და ამ დროს ძლიერი სქესის ქართველები მეთხუთმეტე-მეცხრამეტე ადგილებს იყოფენ, ქალები მეხუთედან მეათე ადგილის ჩათვლით განთავსებულთა ჯგუფში იმყოფებიან.

მაგრამ გვაქვს კარგი ამბავიც: ბაადურ ჯობავა პარტიას პარტიაზე იგებს. მე-4 ტურში იუგოსლავია ძირითადად ქართველმა თინეიჯერებმა დაამარცხეს, რადგან მთელი ქულები ჯობავამ და მიხეილ მჭედლიშვილმა მოიპოვეს. ზურაბ სტურუა ძლიერ ბრანკო დამლიანოვიჩს ნახევარ ქულას გამორჩა, გიორგი ყაჭეიშვილიც თავის მეტოქეს, ხოლო მომდევნო ტურში ამ უკანასკნელმა და ხვიჩა სუპატაშვილმ ქულები გასცეს და ჯობავას გამარჯვებამ ბელარუსთან 1,5:2,5 წაგება ვერ შემოატრიალა. შემდეგ საქართველო შეხვდა ხორვატიას და სტურუამ პირველ დაფაზე ზდენკო კოჟულთან წააგო. მატჩის სასწორი ჯობავამ გააწონასწორა და 2:2.

ცხრილის თავში კი, იქ, სადაც ქართველების ადგილი ჯერჯერობით ვერ მოიძებნა, ფრანგები ბატონობენ. ვგულისხმობთ ორივე სქესის მოჭადრაკეებს. მე-4 ტურში ეტიენ ბაკრომ და კომპანიამ ინგლისთან დაამუხრუჭეს (ბაკროს მაიკლ ადამსმა მოუგო), რასაც მოჰყვა ფრანგების მეორე მარცხიც ჰოლანდიასთან, მაგრამ მე-6 ტურში ჟოელ ლოტიემ, კრისტიან ბაუერმა და ლორან ფრესინემ შვეიცარიელი მეტოქეები დაამარცხეს, მარაგს ბაკროს ნახევარი ქულაც მიემატა და „ბაყაყიჭამიები" ისევ პირველები არიან. ეს იმიტომ, რომ ლიდერობის ორი სხვა კანდიდატი, ინგლისი და ჰოლანდია მე-6 ტურში ერთმანეთს ღრღნიდა და დიდ ანგარიშზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. ჰოლანდიამ 2,5:1,5 მოიგო და მეორე ადგილზეა.

ქალებში საფრანგეთის წარმატება ვაჟებზე მეტი მოულოდნელობა გახლავთ. მათი პირველი დაფის რეიტინგი კარგა 125 პუნქტით ჩამორჩება ქეთევან არახამია-გრანტისას, მაგრამ ბოლო ორ ტურში ფრანგებმა 4 ქულა სუფთად მიითვალეს და სხვათა შორის, არცთუ არიფებთან ბრძოლაში: დაამარცხეს ბულგარეთი და პოლონეთი.

ქართველმა მანდილოსნებმა მე-4 ტურში ყიმები გაიხსნეს, მე-5-ში ჩეხებს გადაუარეს და ბოლოს წააგეს ჰოლანდიასთან 0,5:1,5. ტიტების ქვეყანას გამარჯვების მომტანი ქულა თეა ლანჩავა-ბოსბოომმა შესძინა. ჩვენს ნაკრებში საერთოდ არ დაუსვენია ქეთევან არახამია-გრანტს, ხოლო მაია ლომინეიშვილი და სოფო ნიკოლაძე ხშირად ცვლიან ერთმანეთს.

**დავით გულუა**



ჟოელ ლოტიე და სხვა ფრანგები ევროპას აკვირვებენ

ვითარება 6 ტურის შემდეგ

**ვაჟები**

1. საფრანგეთი 16,5; 2. ჰოლანდია 16; 3. ინგლისი 15,5; 4. შვედეთი 15; 5-6. გერმანია, ბელარუსი 14,5

**ქალები**

1. საფრანგეთი 9; 2-3. ჰოლანდია, მოლდოვა 8,5; 4. უკრაინა 8; 5-10. იუგოსლავია, ინგლისი, პოლონეთი, რუმინეთი, გერმანია, საქართველო 7,5

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტესტ-მატჩები

# სამხრეთი დაიჩრდილა

პარიზი. სტად დე ფრანსი

### საფრანგეთი 20:10 სამხრეთ აფრიკა

**საფრანგეთი: პუატრენო (ჟანჟანი), რუჟერი, მარში, ტრაი, ბორი, ჟელესი (მიშალაკი), გალტიე; კრანკა, იბანიესი, დევილიე, ორადუ, პრივატი (ნალე), ტაბაკო, მანი, ფ. ნტამაკი (ბეტსენი)**
**1ლ: იბანიესი; 5ს: ჟელესი (4), ტრაი**
**სამხრეთ აფრიკა: იანტიესი, პოლსე, სნაიმენი (მონტგომერი), ჰალსტედი, როსოუ, ფან სტრაანტენი, ფან დერ ვესტჰოიზენი; ლე რუ (ფან დერ ლინდე), ფან ბილიონი (სმიტი), ფისახი (მეიერი), მეტფილდი, ენდრიუსი (ა. ფენტერი), ფოსი, ა. ჯ. ფენტერი (ფან ნიკერკი)**
**1ლ: როსოუ; 1გ: ფან სტრაატენი; 1ს: ფან სტრაატენი**
**მსაჯი: ალან ლუისი (ირლანდია)**

საფრანგეთს სამხრეთ აფრიკასთან შვიდი დებიუტანტი ჰყავდა, რაც ტესტებისთვის ნამდვილად მეტისმეტია, მაგრამ გამარჯვება მაინც მას დარჩა. საკმაოდ ყინვიან ამინდში მასპინძლებმა მეტოქეს მალევე შეუნთეს ცეცხლი და ბოლომდე არ მიუციათ დამშვიდების საშუალება.

„მთელ სამყაროს ვაჩვენებთ, რომ სამხრეთთან თანასწორად პაექრობა ჩრდილოურ გუნდებს მშვენივრად შეგვიძლია. დღეს საფრანგეთის ნაკრებმა გამბედაობა, სოლიდარობა და თავისი თავის რწმენა გამოავლინა" — განაცხადა მატჩის შემდეგ დავიდ ბორიმ.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმის უმეტესი ნაწილი სამხრეთაფრიკელთა უპირატესობით წარიმართა, ის მაინც „მამლების" სასარგებლოდ დასრულდა — 9:3. ანგარიში ბრაამ ფან სტრაატენმა გახსნა, რასაც მასპინძლების ცაცია დამრტყმელმა ფრანსუა ჟელესმა მალე ასევე ზუსტი საჯარიმოთი უპასუხა. ოთხ წუთში ისევ ჟელესმა გამოიჩინა თავი და წინ ფრანგები გავიდნენ. ფან სტრაატენს გათანაბრება შეეძლო, მაგრამ მისი მე-19 წუთზე შესრულებული საჯარიმოს მერე ბურთი ძელს მოხვდა, ჟელესმა კი შესვენებამდე ერთხელაც იყოჩაღა.

თამაშის განახლებას „ქურციკების" მხრიდან ანგარიშის შეცვლის მცდელობა მოჰყვა და მათ მიზანსაც მიაღწიეს. 48-ე წუთზე ფრთა პიტერ როსოუ დაუსხლტა მცველებს და ფრანგები დაალელოვა, რასაც ფან სტრაატენის ზუსტი გარდასახვა დაერთო და წინ სტუმრები გავიდნენ.

ამან მასპინძლები ვერ გატეხა და ისინი გაათკეცებული ჟინით ეკვეთნენ მეტოქეს. ერთი საჯარიმო ტრაიმაც შეაგდო და ისევ საფრანგეთი დაწინაურდა. მერე ისევ ჟელესმა გაიტანა. 76-ე წუთზე კი ჩვენებური ლევან ცაბაძის კასტრელმა თანაგუნდელმა რაფაელ იბანიესმა უწია აფრიკელთა ლელოს ბურთიანად და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა.



REUTERS მარი ზიდანი

„მამლების" ლელო ლევან ცაბაძის თანაგუნდელის, ფრანგთა ყოფილი კაპიტნის რაფაელ იბანიესის ანგარიშზეა

თვიქნემი

### ინგლისი 21:15 ავსტრალია

**ინგლისი: რობინსონი, ო. ჰილი, გრინვუდი, კეტი, ლუგერი, უილკინსონი, ბრაკენი; როუნტრი, ვესტი, ვიკერი, კეი, გრიუკოკი, რ. ჰილი, ბეკი, უორსლი**
**5ს: უილკინსონი; 2ა: უილკინსონი**
**ავსტრალია: ბერკი, ლეითემი, ჰერბერტი (ბონდი), გრეი, როფი, ლარკემი, გრეგანი; სტაილზი, ფოლი, დარვინი, ჰარისონი (კოკბეინი), გიფინი, ფინეგანი, სმიტი (ვო) კეფუ**
**2ლ: ბერკი, ვო; 1გ: ბერკი; 1ს: ბერკი**
**მსაჯი: პედი ობრაიენი (ახალი ზელანდია)**

ზედიზედ მეორე წელია, ავსტრალია ამაოდ ცდილობს თვიქნემში ინგლისის ძლევას. ამჯერად მასპინძელთაგან საუკეთესო ჯონი უილკინსონი იყო, რომლის ანგარიშზეცაა ინგლისელთა ყველა ქულა.

შარშან ოზებთან გამარჯვების შემდეგ ალბიონელებზე ხშირად გაიგონებდით, მსოფლიოში უძლიერესები სწორედ ეგენი არიანო, მით უმეტეს, რომ გაზაფხულზე ექვსი ერის ჩემპიონატში ოთხიდან ოთხი მოგებაც დაუგროვდათ. თუმცა ინგლისელებმა ოქტომბერში ექვსი ერის გადადებულ მატჩში ირლანდიას ვერ აჯობეს, დიდი სლემი დაკარგეს და მათი უძლიერესობის შესახებ ხმებიც ერთგვარად გაზვიადებული გამოჩნდა.

თანაც დედამიწის უპირველესი გუნდის სახელი ავსტრალიას უამისოდაც უბრუნდებოდა, რადგან მწვანე კონტინენტის ნაკრებმა ზედიზედ მეორედ სამი ერის ჩემპიონატის მოგება ისტორიაში პირველად ბრიტანელ ლომთა სერიაში დამარცხებას მიაყოლა. თუმცა მერე ოზებმა ბრწყინვალე მორკინალი და კაპიტანი ჯონ ილზი გაუშვეს პენსიაზე და, როგორც კვირას გამოჩნდა, მას სიძლიერის ნაწილიც გაატანეს.

თამაშის დაწყებისთანავე ედი ჯონსის შეგირდებს თეთრი ტალღების შეკავება მოუხდათ. მასპინძლებს ორი უძლიერესი მორკინალი, ლოურენს დალალიო და მარტინ ჯონსონი აკლდათ ტრავმების გამო, მაგრამ მათი შერკინება მეტოქისას მაინც ჩაგრავდა. ამას ფინეგანის დროებითმა გაძევებამაც შეუწყო ხელი. მსაჯმა იგი გრიუკოკის წინააღმდეგ უხეშობისთვის დასაჯა ყვითელი ბარათით.

უილკინსონმა პირველი საჯარიმო მე-3 წუთზე შეაგდო, რასაც ათიოდ წუთში კიდევ ორი არეკნი მიაყოლა და თავისიანები 9:0 დააწინაურა. ამ პერიოდში „ვოლაბების" ახალი კაპიტანი ჯორჯ გრეგანი და მისი პარტნიორები ვერაფრით ახერხებდნენ ინიციატივის ხელში აღებას და ლელოს ვინ ჩივის, მათ დამრტყმელ მეტიუ ბერკს თავის გამოჩენის შანსი მხოლოდ 28-ე წუთზე მიეცა პირველად, ოღონდ მისი დარტყმა არაზუსტი გამოდგა. მოწინააღმდეგე ბანაკიდან კი უილკინსონი ისევ არ ცხრებოდა და კიდევ ორი საჯარიმო დაუმატა თავის მონაგარს.

მეორე ტაიმის დებიუტში ბერკმა თავის უიღბლობას წერტილი დაუსვა და სამხრეთელებს მატჩის ბედის შემობრუნების შანსი მისცა. ერთ-ერთი ჯარიმა მან აუტში გადააგდო, დერეფანი ავსტრალიელებმა მოიგეს. ბურთი მცირე ხნით სამმეოთხედელთა ხელებით აქეთ-იქით მოგზაურობდა, ბოლოს კი ისევ ბერკს მიუვიდა და მანაც კუთხეში გაიტანა ლელო. გარდასახვას სიღნეელმა საჯარიმოც მიაყოლა და 15:10.

თუმცა ოზთა ამბოხმა კლაივ ვუდვორდის გუნდი ვერ დაშალა. ბრიტანელებმა ბურთზე სრული მონოპოლია გამოაცხადეს და უილკინსონს კიდევ ორი საჯარიმოს შეგდების საშუალება მისცეს. მატჩის ბოლოს გატანილ ვოს ლელოს კი ანგარიშის გარდა აღარაფრის შეცვლა არ შეეძლო.

და ვითომ მაინც ინგლისია მსოფლიოში უძლიერესი?



REUTERS ფოტოქრონიკა

ჯონი უილკინსონმა ოზებს სანაქებოდ ურტყა

კარდიფი. მილენიუმი

### უელსი 16:30 არგენტინა

**უელსი: მორგანი, რ. უილიამსი (ბეიტმენი), გ. ტომასი (სინკინსონი), ს. ჯონსი, სალივანი, ჰარისი, ჰაული; მორისი (ი. ტომასი), მაკბრაიდი, იანგი, კ. ქვინელი (ვაიატი), მური, ჩერვისი, გევინ ტომასი, ს. ქვინელი**
**1ლ: მორისი; 1გ: ჰარისი; 3ს: ჰარისი**
**არგენტინა: კორლეტო, კამარდონი, ორენგო, არბისუ, ალბანეზე, კონტეპომი, ჰაჩოტი; რეჯიარდო, მენდესი, ჰასანი, ლობე, ალვარესი, ფელანი (ოსტილია), მარტინი, ლონგო**
**2ლ: კონტეპომი, კამარდონი; 1გ: კონტეპომი; 5ს: კონტეპომი; 1ა: კონტეპომი**
**მსაჯი: ჟოელ დიუმე (საფრანგეთი)**

გააფთრებული ფელიპე კონტეპომის წყალობით არგენტინამ პირველად მოიგო ტესტი უელსის მიწაზე.

გასულ თვეში ექვსი ერის ჩემპიონატის გადადებულ მატჩში უელსელები საკუთარ „მილენიუმზე" ირლანდიელებთანაც შერცხვნენ (6:36). მას მერე დიდი დრო არ გასულა, მაგრამ „წითლები" მაინც იმედიანად იყვნენ. ამის მიზეზი ცამეტკაცას ვარსკვლავ იესტინ ჰარისის გადაბირება იყო. ჰარისმა შაბათს თავისი პირველი კეპი მოიხვეჭა მას შემდეგ, რაც „კარდიფის" მაისურათი რაგბის მხოლოდ ხუთ მატჩში მიიღო მონაწილეობა. იგი გარე ნახევარმცველის პოზიციაზე, ანუ ტრავმირებული ნილ ჯენკინსის ადგილზე ათამაშეს, მაგრამ ამით მასპინძლებმა დიდად ვერ იხეირეს.

საწყის ორმოცწუთეულში ჰარისი კონტეპომიმ ისე დაფლითა, ნაღდ პუმას რომ შვენოდა. 25 წლის მორაგბისთვის ეს ნამდვილი კოშმარი იყო. მას არგენტინელი ყველაფერში სჯობდა, 33-ე წუთზე კი დარტყმულზეც დაუფარა, დაცვასაც გაექცა და „პუმების" პირველი ლელო გაიტანა. გარდა ამისა, სამხრეთელმა 24-ე, 36-ე და მე-40 წუთებზე სამი საჯარიმოც შეაგდო და შესვენებისთვის თავისიანებს კარგი მარაგი შეუქმნა — 16:7.

მეორე ტაიმში ჰარისი შედარებით დამშვიდდა და სამი საჯარიმო მიითვალა, მაგრამ ხოსე კამარდონმა დიეგო ალბანეზეს მშვენიერი გარღვევა დააგვირგვინა ლელოთი, კონტეპომიც არ ყოფილა უქმად და საბოლოოდ „პუმებმა" მოიგეს, რითიც სამხრეთ ნახევარსფეროს ცოტათი მაინც აღუდგინეს მისი ხუთი წარმომადგენლის მარცხით შელახული პრესტიჟი. ახლა არგენტინა ამ კვირის ბოლოს მარიფილდში გაეჯიბრება შოტლანდიას, მერე კი შინ დაბრუნდება და 1 დეკემბერს იქ დაუხვდება ახალ ზელანდიას.

ტრევიზო

### იტალია 66:10 ფიჯი

**იტალია: 7ლ: ვაკარი, დალანი, სტოიკა, მარტინი, მოსკარდი, კეკინატო, პერსიკო; 5გ: დომინგესი (4), მაცარიოლი; 7ს: დომინგესი**
**ფიჯი: 1ლ: სერევი; 1გ: სერევი; 1ს: სერევი**

ახალი სეზონის პირველი ტესტი იტალიელებმა ბრწყინვალე გამარჯვებით დაასრულეს. მათ ფიჯელები 66:10 გაანადგურეს. „სკუადრა ადურამ" ამ წარმატებით ერთგვარი რევანში აიღო. კუნძულელებს აპენინელები 1999 წლის 28 აგვისტოს ლაკვილაში, 2000 წლის 15 აგვისტოს კი შინ, სუვაში დაუმარცხებიათ, შესაბამისად 50:32 და 43:9.

ახალზელანდიელი ბრედ ჯონსტონის გუნდში წლევანდელი სამხრეთაფრიკული ტურნეს (14:60 „ქურციკებთან") შემდეგ არგენტინული წარმოშობის დამრტყმელი დიეგო დომინგესი დააბრუნეს. სწორედ ის გამოდგა მატჩის ყველაზე შედეგიანი მორაგბე და ზუსტი დარტყმებით 29 ქულა მოიხვეჭა. გარდა ამისა, იტალიელებმა მოწინააღმდეგეს შერკინებაშიც აჯობეს. ფიჯელებს კი თავისი ჯადოსნური ხელით თამაშის გამოყენების საშუალება არ მიეცათ, რადგან ნაწვიმარი იყო და ბურთი ხელიდან უსხლტებოდათ.

ახლა „სკუადრა ადურა" 17 ნოემბერს გენუაში სამხრეთ აფრიკას დაუხვდება და კიდევ ერთი რევანშის აღების შანსი ექნება.

მარიფილდი

### შოტლანდია 43:20 ტონგა

**შოტლანდია: მეტკალფი, სტილი, მაკლარენი (ჰენდერსონი), ლესლი, კ. მიურეი (რიდი), როსი, ნიკოლი (ბერნსი); სმიტი, ბალოკი (სკოტი), სტიუარტი (გრემი), ს. მიურეი, გრაიმსი, ვაიტი, მოვერი (სიმპსონი), პეტრი**
**4ლ: მაკლარენი, მეტკალფი, რიდი, სიმპსონი; 4გ: როსი; 5ს: როსი**
**ტონგა: 1ლ: ვაკი; 5ს: ტუიპულოტო (4), ტაუმალოლო**

ერთი შეხედვით შოტლანდიამ იოლად სძლია ტონგას, მაგრამ არც მთლად ეგრეა საქმე. სკოტები გამარჯვებას მხოლოდ უკეთეს ფიზიკურ მომზადებას და ამინდს უნდა უმადლოდნენ. ტონგელთა ხელით თამაშში უპირატესობა წვიმამ გააქარწყლა, სიცივე კი მასპინძლებმა უკეთ აიტანეს და ოკეანეთელები მატჩის დასკვნით მესამედში გატეხეს.

ევროპელებმა ტაიმი 22:11 მოიგეს, რაც მსაჯის დამსახურებაცაა, რადგან ის ძალიან ხშირად აჯარიმებდა ტონგელებს. გრეგორ თაუნსენდის შემცვლელმა გორდონ როსმაც უშეცდომოდ ურტყა. მატჩის მიწურულს კი სკოტებმა ზედიზედ სამი ლელო გაიტანეს და ახლა არგენტინელებს უშიშრად ელიან.

დუბლინი. ლენსდაუნ როუდი

### ირლანდია 35:8 სამოა

**ირლანდია: სტონტონი, მერფი, ოდრისკოლი (მალინზი), მეგზი, ჰოუი, ოგარა, სტრინგერი (გ. ისტერბი); ბირნი, შიანი, ჰეიესი (კლოჰესი), გოლვეი, ლონგველი, მილერი (ს. ისტერბი), დოუსონი, ფოლი (ბრენანი)**
**4ლ: შიანი, სტონტონი, მერფი, ჰოუი; 3გ: ოგარა; 3ს: ოგარა**
**სამოა: 1ლ: სოოალო; 1ს: ვაა**

2001 წლის ექვსი ერის ჩემპიონატის უკანასკნელ შეხვედრაში ინგლისის მძლეველი შემადგენლობიდან ირლანდიამ სამოას ოდენ შვიდი მორაგბე დაახვედრა. ეს, ალბათ, იმისთვის გააკეთა „სამყურათა" ახალზელანდიელმა დამრიგებელმა უორენ გეტლანდმა, რომ გუნდი უბრალოდ გაავარჯიშა დიდი ტესტის მოლოდინში. ამ უქმეებზე ხომ კელტები მისი სამშობლოს ნაკრებს შეერკინებიან.

ტაიმი ირლანდიამ 16:3 მოიგო. შესვენების შემდეგაც მინდორზე ფაქტობრივად ერთი გუნდი იყო და ანგარიშში სხვაობაც მალე იზრდებოდა. სამოელებმა სულ ბოლოსლა მოახერხეს პრესტიჟის ლელოს გატანა, მაგრამ გასულ უქმეებზე სამხრეთ ნახევარსფეროს შელახულ პრესტიჟს, ეს ნამდვილად აღარაფერში წაადგა.

**ბაგი გურული**

საქართველოს თასის ფინალი

## დათვები — ლოკომოტივი

# დათბება თუ არ დათბება, თასი პატრონს ელოდება

**მოგეხსენებათ** 5 ნოემბერს საქართველოს თასის ფინალი უნდა გამართულიყო. გადამწყვეტი მატჩი ქუთაისში იყო დანიშნული, მაგრამ შეხვედრა ჩაიშალა, რის მიზეზიც ერთ-ერთი ფინალისტის, თბილისის „ლოკომოტივის" არგამოცხადება გახდა.

მერე საქართველოს ეროვნული ნაკრების და საფრანგეთის „ა" ნაკრების მატჩმაც მოატანა და თასის ფინალის გამართვა-არგამართვის საკითხმა უკანა პლანზე გადაიწია.

და აი მოვიდა დრო, როდესაც შინაურსაც უნდა მიეხედოს და რაგბის კავშირმაც საქართველოს თასის ყბადაღებულ საკითხისთვის მოიცალა.

კავშირს სამი გზა ჰქონდა ამ საკითხის მოსაგვარებლად. პირველი — ეხელმძღვანელა დებულებით და „ლოკომოტივისთვის" წაგება ჩაეთვალა, თუმც რკინიგზელებს თავისი არგუმენტი მოაქვთ. იმის თაობაზე, რომ ფინალური მატჩი გადადებული იყო.

მეორე — საერთოდ არ ჩატარებულიყო თასის ფინალი, რაც, კავშირის აზრით, ყველაზე გამოუვალ შემთხვევაში თუ იქნებოდა მისაღები.

მესამე — დამსხდარიყვნენ ფინალისტი კლუბების ხელმძღვანელები და კავშირის მესვეურები მოსალაპარაკებლად და გამოენახათ საერთო ენა. ანუ დაეთქვათ ფინალური მატჩის ხელახალი თარიღი.

კავშირის აზრით, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ბოლო ვარიანტი ყველაზე მისაღები იქნებოდა. ამ გადაწყვეტილებით კავშირი უზენაესად რაგბის ინტერესებს ცნობს და თვლის, რომ რაგბის პრინციპებიდან და არსიდან გამომდინარე თასი მოედანზე, ბრძოლაში უნდა მოიპოვო.

კავშირი არ გაურბის 5 ნოემბერს დანიშნული ფინალის ჩაშლის თავის წილ პასუხისმგებლობას და კლუბებს იმ გაუგებრობების დავიწყებისკენ მოუწოდებს, რომლებიც იმ პერიოდში მოხდა. თუმც იმ დროს არც კლუბები იყვნენ მაინცდამაინც უცოდველები და მარტო კავშირის დადანაშაულება არ ეგების.

ერთი სიტყვით, კავშირმა თავისი თქვა და კლუბებს საერთო ენის გამონახვისთვის მოუწოდებს. ჯერი ახლა კლუბებზეა, რომლებმაც უნდა გაარკვიონ, თასის ბედი მოედანზე გადაწყდება თუ კაბინეტში.

თუ რას ფიქრობენ ამის თაობაზე „ლოკომოტივის" და „დათვების" ხელმძღვანელები, ამის გასარკვევად მათ დავუკავშირდით.

***თემურ ბენდიაშვილი, „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი:*** „მივესალმები კავშირის გადაწყვეტილებას. რაც უფრო მალე დავილაპარაკებთ, საქმისთვის უკეთესი იქნება. ფინალური მატჩი აუცილებლად უნდა გაიმართოს. რაგბის პრინციპებიდან გამომდინარე, ეს ყველაზე მართებული გადაწყვეტილება."

***ილია წულუკიძე, აჭარის რაგბის კავშირის პრეზიდენტი:*** „ჩვენ ფინალურ მატჩს არ ვითამაშებთ. შეხვედრა ოფიციალურად იყო დანიშნული და „ლოკომოტივი" არ გამოცხადდა. არის დებულება, სადაც ყველაფერი ნათლად წერია. არ ჩამოვიდა „ლოკომოტივი", ესე იგი, თასი ჩვენ გვეკუთვნის და კიდევ, იმ გუნდთან, რომლის მთავარი მწვრთნელიც თემურ ბენდიაშვილია, „დათვები" დათმობაზე არ წავა."

***ბიძინა გეგიძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:*** „ჩვენ მოვუწოდებთ ორივე გუნდის ხელმძღვანელობას პირადულზე მაღლა რაგბის ინტერესები დააყენონ. ვაღიარებ, რომ არც რაგბის კავშირში და არც თავად კლუბებში საქმე იდეალურად არ არის. ამიტომ საერთო ენა უნდა გამოვნახოთ და რაგბის საკეთილდღეოდ ვიმოქმედოთ. ვნახოთ, დავსხდეთ ერთად და მოვილაპარაკოთ. თუ მატჩის ჩატარების თაობაზე ვერ მოვრიგდებით, დანარჩენზე მერე ვისა უბროთ."

**ბაჩო სვანიძე**



# მტრისას კარგი გორანი

სიდნეი (ავსტრალია)
„მასტერს კაპი"
საპრიზო 3,7 მილიონი $

**კენ როუზუოლის ჯგუფი**

**ევგენი კაფელნიკოვი (6, რუსეთი) — ხუან კარლოს ფერერო (4, ესპანეთი) 4:6, 6:1, 7:6 (7:5); გორან ივანიშევიჩი (8, ხორვატია) — გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) 6:2, 6:7 (2:7), 6:4**

იქნებ იმის გამო, რომ „მასტერ კაპი" სიდნეიში ტარდება, სააგენტო „როიტერმა" შემდეგი ცნობა გამოგზავნა: „ოლიმპიურმა ჩემპიონმა ევგენი კაფელნიკოვმა 7-გეიმიანი ბლიცით ხუან კარლოს ფერეროს „მასტერ კაპის" ჯგუფური ტურნირის მატჩი მოუგო".

მართლაც, კაფელნიკოვმა სიდნეიში შარშანდელი სექტემბერ-ოქტომბერი უაღრესად ბედნიერად გაატარა, გახდა ოლიმპიური ჩემპიონი და ეს წოდება პროფესიულ ჩოგბურთში იქნებ ცოტას ნიშნავდეს, მაგრამ ისტორიისთვის მნიშვნელოვანია.

ამჯერად კაფელნიკოვი და კიდევ ჩვენი პლანეტის შვიდი უძლიერესი ჩოგბურთელი ოლიმპიური სარბიელიდან 500 მეტრში ირჯებიან. „მასტერს კაპის" ასპარეზს „სუპერდოუმი" ჰქვია და 17 800 მაყურებელს იტევს, მაგრამ ეს რიცხვი სრულებით ზედმეტია, გუშინ კენ როუზუოლის ჯგუფში შემდგარ მატჩებს მხოლოდ 3 ათასმა კაცმა უყურა. ორგანიზატორთა ბალანსი ამ შემთხვევაში ძნელად რომ დადებითი გამოდგეს, თუმცა ფინალებისკენ ალბათ ხალხიც იმატებს.

თავისი მატჩის პირველ სეტში კაფელნიკოვი უაზროდ თამაშობდა და საწყისი მოწოდება მეტოქეს გადაულოცა. ფერერომ შეირგო მირთმეული და სეტიც დაინარჩუნა, მაგრამ მეორე პარტიაში 1:1-ზე ჟენიამ დაიწყო და არ გაჩერდა, ზედიზედ 7 გეიმი მოიგო, ანუ მთლად მე-2 პარტია და მესამეშიც დაწინაურდა. მოვლენათა ლოგიკით თითქოს 21 წლის ესპანელს, წლეულს ოთხი ტურნირის მომგებსა და „როლან გაროსის" ნახევარფინალისტს რუსის წნეხისთვის ვერ უნდა გაეძლო, მაგრამ ფერერომ გაუძლო და ტაიბრეიკი მოახერხა, რომელშიც ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ 5:7 წააგო. ტრილერივით მატჩი გამოვიდაო, აღნიშნავენ მიმომხილველები.

„სუპერდოუმის" ცენტრალური კორტი ცოტა ხანში გუსტავო კუერტენმა და გორან ივანიშევიჩმა, სხვაგვარად მსოფლიოს ოფიციალურმა და არაოფიციალურმა (უიმბლდონის გამარჯვებულს უწოდებენ) პირველმა ჩოგნებმა დაიკავეს და მეორე მოერია. როცა მსჯელობის ხასიათზეა, ივანიშევიჩი თავის ორ ნატურას გამოყოფს, „კარგ გორანს" და „ცუდ გორანს". ის გუშინ, ისევე როგორც უიმბლდონზე „კარგი გორანი" იყო და კუერტენს ფაქტობრივად შანსი არ ჰქონია.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ხორვატის 28 ეისი, რომელთაგან ბოლო მატჩის დამთავრების სიგნალი იყო. ივანიშევიჩის მოწოდებათა სიჩქარე რეგულარულად აღწევდა საათში 190 კილომეტრს და პირველი პარტიის მოსაგებად სულ 25 წუთი ეყო.

მეორე სეტში კუერტენმა პროგრამა-მაქსიმუმად თავის მოწოდებათა გადარჩენა და შანსების ტაიბრეიკში ძიება დაისახა, რაც მეტნაკლებად გამოუვიდა კიდეც. მაგრამ ბოლო პარტიაში ივანიშევიჩის ყუმბარების გამოჭერა ძველებურად გართულდა და კუერტენმა თავის ერთი გეიმი დათმო, რაც პარტიისა და მატჩის წაგებად დაუჯდა.

დავაფიქსიროთ, რომ „ჩემპიონთა რბოლაში" ივანიშევიჩი მეცამეტეა და სიდნეიში მხოლოდ უიმბლდონზე გამარჯვების წყალობით მოხვდა, ხოლო გუშინდელმა წაგებამ კუერტენის პირველობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა. პირველი მატჩები მოიგეს მეორე ჩოგანმა ლეიტონ ჰიუიტმა და მესამე ანდრე აგასიმ. პირველი გუგას 48 ქულით ჩამორჩება, აგასი — 87-ით და მეორე ტურში ერთ-ერთი აუცილებლად წააგებს, რადგან ერთმანეთს ხვდებიან.



გორან ივანიშევიჩმა (მარცხნივ) მსოფლიოს პირველ ჩოგანს მოუგო



NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ბურეს დაცვა გაულანძღეს

12 ნოემბერი

**ფლორიდა 3:5 ბუფალო (1:3 0:0 2:2)**

**1:0 ჰედიკანი 1(1), 1:1 დიუმონი 3(5), 1:2 დიუმონი 6(6), 1:3 შატანი 19(8), 2:3 ჰუსელიუსი 49(10), 3:3 პ. ბურე 51(7), 3:4 ბრაუნი 59(4), 3:5 დიუმონი 60(7)**

როგორც ჩანს, განხეთქილება ფლორიდას ლიდერ პაველ ბურესა და გუნდის თავკაც დუეინ სატერს შორის დღითი-დღე ღრმავდება. ამ უქმეებზე ფილადელფიასთან სეზონში მესამედ მარცხის შემდეგ სატერმა შეგირდი მკაცრად გააკრიტიკა და დაცვაში უჯიგროდ თამაშში დაადანაშაულა. ბურეს რეაგირება ჯერ არ მოუხდენია, თუმც უკვე ლაპარაკია მთავარი „პანტერის" უკმაყოფილებაზე. მორიგმა მატჩმაც ცხადყო, რომ პაველს სატერის სიტყვებიდან დასკვნა არ გამოუტანია, თუმც ამჯერად შეტევაში ყველაზე აქტიური იყო. პირველივე ცვლაში ბურეს გარღვევა და ზუსტი პასი ბრეტ ჰედიკანის გოლით დაგვირგვინდა, ხოლო მესამე პერიოდში სწორედ მისი და ოქტომბრის საუკეთესო ახალბედა კრისტიან ჰუსელიუსის ძალისხმევით გაათანაბრა ფლორიდამ. მეორეს მხრივ, ფლორიდელთა დაცვას კვლავ დიდი დატვირთვა დაეკისრა, რაც გარკვეულწილად ბურესა და სხვა ფორვარდების დაცვითი ფუნქციებისადმი გულგრილობამ განაპირობა. მეკარე რობერტო ლუონგოც არ ბრწყინავდა და შედეგად მასპინძელთა კარში ხუთი შაიბა აღმოჩნდა, ხოლო მატჩის გმირმა ჟან-პიერ დიუმონმა კარიერაში პირველი ჰეთ თრიქი მიითვალა.

ორშაბათი, როგორც ხედავთ, ნაკლებად იყო დატვირთული, ამიტომაც მოკლედ უქმეების მოვლენებს გავიხსენებთ.

მთავარმა დეტროიტელმა ლუკ რობიტაილმა კარიერაში მე-600 გოლი გაიტანა. ამ შაიბამ, რომელიც ანაჰაიმთან თამაშში ერთადერთი აღმოჩნდა, გამოჩენილი სნაიპერი ლიგის ისტორიაში მე-13 გახადა, ვისაც ეს უაღრესად საპატიო მწვერვალი დაულაშქრავს. მოქმედ ჰოკეისტთა შორის ასეთი სულ ხუთია და აქედან სამი დეტროიტში ასპარეზობს. რობიტაილის გარდა ესენი არიან სტივ აიზერმანი და ბრეტ ჰალი. იმავე თამაშში თავისი პირველი დეტროიტული შატაუტი დომინიკ ჰაშეკმა მიითვალა (სულ 57). ედმონტონელი ტომი სალოსა და კალგარელი რომან ტურეკის ანგარიშზე კი წლეულს უკვე სამ-სამი ასეთი მიღწევაა. თანაც ამ უკანასკნელმა თვით კოლორადო დატოვა ხახამშრალი, თუმც ჩემპიონს უკვე 6 თამაში არ მოუგია. ორ წელიწადზე მეტია, „ეველანში" ამ დღეში არ ყოფილა. მასზე უარესად მხოლოდ ატლანტა თამაშობს (ზედიზედ 7 მარცხი), რომელმაც ბოლო 4 მატჩში მხოლოდ ერთხელ გაიტანა. სამაგიეროდ, კალგარი (6 წაუგებელი მატჩი) და ჩიკაგო აგრძელებენ ტრიუმფალურ სვლას. სწორედ ეს ორი კლუბი იყოფს ლიგაში მეორე ადგილს. თანაც „ქორებს" 11 საშინაო მატჩში ერთხელაც არ წაუგიათ. სტარტზე შეფერხების შემდეგ მიყოლებით ექვსჯერ მოიგო ოტავამ, ხოლო რეინჯერსის აქტივში ზედიზედ ხუთი გამარჯვებაა. ნიუჯერსელმა პატრიკ ელიაშმა კი ტორონტოსთან მატჩში კვლავ დაამტკიცა, რომ შინ შეუჩერებელია.

**სამველ ლარიბიანი**



საქართველოს მე-12 ჩემპიონატი

# სიახლე ექვსეულში: გლდანი და ცერო

**როგორც** იქნა, გზას გაუდგა ვაჟ ხელბურთელთა რიგით მე-12 ეროვნული ჩემპიონატი. მიზეზთა გამო ასპარეზობის დაწყება წინა წლებთან შედარებით მთელი თვით შეფერხდა.

ბრძოლაში ამჯერადაც ექვსი გუნდი ჩაება, თუმც შეჯიბრება ძველ ვადებში რომ დაწყებულიყო, სარბიელზე მხოლოდ ოთხს ვიხილავდით. საქმე ისაა, რომ „ბათუმი" და არმიის სპორტული კლუბი წლეულს აღარსად ჩანს.

სასიამოვნოა, რომ უმძიმესი ყოფის მიუხედავად, ქართულ ხელბურთს ორი ახალი გუნდი — „გლდანი" და „ცერო" შეემატა. „გლდანი" ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის ბაზაზეა შექმნილი. რეგიონებიდან პერსპექტიულ ჭაბუკთა ერთად შეკრების იდეა ვეტერან ხელბურთელებს, კერძოდ რამდენიმე 80-იანელს გაუჩნდა და მათ უმცირეს ხანშიც სიტყვა საქმედ აქციეს. მთავარი მწვრთნელობა ლევან აბესაძემ ითავა, მერაბ მეტრეველი კი კონსულტანტის ფუნქციას ასრულებს. გუნდის შემადგენლობაში ქუთაისელი, ფოთელი და თელაველი მოთამაშეები ირიცხებიან. ისინი გლდანის ზემოხსენებულ ინტერნატის ტიპის სასწავლებელში ცხოვრობენ, სავარჯიშოდ კი იქვე, ყურის ძირში, ხელბურთის სპეციალიზირებული სკოლის დარბაზში დადიან.

ჩემპიონატის პირველ დღეს გლდანელებს, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე მხოლოდ ცხრა ვარჯიში ჰქონდათ ერთად ჩატარებული, ახალბედების კვალობაზე ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ. უფრო გამოცდილ „თბილისს" მათ პირველი ტაიმი მოუგეს — 12:10 და შესვენების შემდეგაც საკმაო ხანს ინარჩუნებდნენ უპირატესობას — 15:12, 18:16, მაგრამ ბოლოს აჩქარდნენ, რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვეს და ორბურთიანი სხვაობით (23:25) დამარცხდნენ.

„ცეროს" შექმნა ჩვენი სახელოვანი ხელბურთელის, ჯემალ ცერცვაძის მოწადინების შედეგია. ბატონ ჯემალის პირმშოსაც დავაკვირდებით, რასაკვირველია, ჯერ ბევრი აკლია, მაგრამ იმედია, ცნობილ მწვრთნელ ჯიმშერ ღვალიშვილის შეგირდები თანდათან თამაშის დონეს აიმაღლებენ და მალე ყველა მეტოქისთვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცევიან.

ცხადია, შეჯიბრების უმთავრესი ფავორიტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი „სტუ-შევარდენია". აგრარული უნივერსიტეტის „საუმამული", „თბილისი" და „მართვე" საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ, ხუთწრიანი სეზონი კი გაზაფხულზე, მაისში დასრულდება.

**გია ახალაძე**





ლევან აბესაძე (მარცხნივ) და მერაბ მეტრეველი თავიანთი გლდანელების მორიგი შეტევისას

# გიორგი ასანიძე მსოფლიოს ჩემპიონია!

# ჩემპიონი საერთო საცხოვრებლიდან

# ასანიძის ხელებს ტაში მოენატრა

***ვინაა ორგზის ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი?***
***გიორგი ასანიძე!***
***ვინაა სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოსანი?***
***გიორგი ასანიძე!***
***კეთილი ნების თამაშების პრიზიორი?***
***გიორგი ასანიძე!***
***ვინ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი?***
***ასანიძემ, ასანიძემ, ასანიძემ...***

***მართლაც, 1998 და 2000 წლების საქართველოს საუკეთესო სპორტსმენს სარბიელი არ დაუტოვებია უმედლოდ. ყველაზე დიდ წარმატებას კი ახლახან მიაღწია ანთალიაში, ძალოსანთა 71-ე მსოფლიოს პირველობაზე. ასანიძის შეუპოვრობამ საქართველო მსოფლიოს ჩემპიონის კვარცხლბეკიდან გადმოახედა. იგი ახალი ასწლეულის პირველი ქართველი სპორტსმენია, რომელიც ამ ტიტულს დაეუფლა. მსოფლიოს ჩემპიონთან გასაუბრება კი, მოგეხსენებათ, ძალიან საინტერესოა. თანაც, როცა ტელეფონით შევეხმიანეთ, შეხვედრა ვთხოვეთ და შინ მიგვიპატიჟა, ძალიან გვესიამოვნა, რადგან სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს წილად ქართველი ძალოსნისთვის საჩუქრად გადაცემული ბინის ხილვა გვაინტერესებდა. თუმცა, როდესაც შინ ვეწვიეთ, სახტად დავრჩით. მსოფლიოს ჩემპიონი ისევ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. ვიფიქრეთ, ახალ ბინაში რემონტს აკეთებდა და აქ დროებით იყო, მაგრამ ნურას უკაცრავად. ნაჩუქარი ბინა როგორც გადასცეს, ისევ ისეა — ჩამონგრეული, ჩაპარტახებული. ერთი სიტყვით, გამოუსადეგარი. ასე რომ არ იყოს, ვის ეხალისება საერთო საცხოვრებელში ყოფნა. იქ, სადაც თაგვი კუდს ვერ მოიქნევს. თუმც აწ უკვე მსოფლიოს ჩემპიონი გიორგი ასანიძე არ წუწუნებს და სხვებს თავს არ აბეზრებს. თავის საქმეს ისევ ძველებურად აკეთებს. არადა, მის დარ სპორტსმენს ხელის გულზე უნდა ვატარებდეთ. განა ბევრი გვყავს ასეთი? ახლა კი დაპირებული ინტერვიუც. მართალია, ამისთვის ჩაძინებული პატარა კახი შევაწუხეთ, მაგრამ სახელოვანი მამის შვილი, იმედია, გვაპატიებს.***



[illegible] ფოტო

**— მსოფლიოს ჩემპიონატამდე გვითხარით, მინიმუმ ვერცხლს, მაქსიმუმ ოქროს მოვიპოვებო. არადა, თქვენი ქრონიკული ტრავმების გამო ასეთი განცხადება ძალიან თამამი ჩანდა...**

— მართლაც, მინიმუმ ვერცხლის მოპოვებას ვგეგმავდი. ამის თქმის საბაბი კი ალბათ იმან მომცა, რომ საკმაო გამოცდილება დამიგროვდა. გარდა ამისა, დროც მქონდა მოსამზადებლად.

**— პრიზიორებისა და უახლოესი მდევრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ახალი ლიდერები გამოიკვეთნენ. მით უმეტეს, რომ თქვენი ძველი მეტოქეები ირანელი შაჰინ ნასირინია, გერმანელი მარკ ჰუსტერი თუ ბულგარელი გეორგი გარდევი საპრიზოებს მიღმა დარჩნენ...**

— თითოეული მათგანი ძალიან ძლიერი ძალოსანია და მსოფლიოს ჩემპიონატამდეც ძირითად მეტოქეებად მათ მივიჩნევდი. ხელწამოსაკრავი სპორტსმენები რომ არ არიან, მათი მიღწევებიდანაც ნათლად ჩანს. ნასირინია შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონია, ჰუსტერი კი სიდნეის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსანი და მსოფლიოს ჩემპიონატის ორგზის გამარჯვებული... ამიტომაც აქცენტი სწორედ მათზე გადავიტანე, თუმც მეორეადგილოსანი სომეხი გაგიკ ხაჩატრიანიც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა, ვინაიდან სიდნეის ოლიმპიადაზე მეექვსე ადგილი დაიკავა. ესეც რომ არა, ორჭიდის ჯამში იგი სტაბილურად 380 კილოგრამს აგროვებს, მაგრამ ანთალიაში მისგან ასეთ თავგამოდებას ნამდვილად არ ველოდით. მით უმეტეს, რომ თუ ბოლო წლების წარმატებებს შევაჯამებთ, სომეხი სპორტსმენის შედეგები ნაკლებ სახარბიელოა. ანთალიაში მოვლენების ასეთ განვითარებას არავინ ელოდა. ბულგარელი და გერმანელი სპორტსმენები თავიდანვე გამოეთიშნენ პაექრობას, ფიცარნაგს მხოლოდ ირანელი ძალოსანი შემორჩა, თუმცა ვერც მან შეძლო წარმატების მიღწევა. ისე, ნასირინია თავიდანვეც სუსტად გამოიყურებოდა. ამასობაში კი გამოიკვეთნენ ლიდერებიც. პირველობისთვის ბრძოლა გავაგრძელეთ მე, სომეხმა და ბელარუსმა ონიშჩენკომ. მიუხედავად იმისა, რომ ბელარუსის შესაძლებლობაზე ინფორმაციას ვფლობდი, მას სათვალავში თითქოს მაინც არ ვთვლიდი.

**— ანთალიამდე მუხლი გქონდათ დაშავებული, რომ აღარაფერი ვთქვათ თქვენს სისუსტეზე — მკლავზე. ახლა როგორ ხართ?**

— გეცოდინებათ, მუხლი ბრისბენში კეთილი ნების თამაშებზე დავიშავე და ფორმაში შესასვლელად თუ კი რაიმე ხელს შემიშლიდა, უპირველესად სწორედ დაშავებული მარცხენა ფეხი. თუმცა ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. რაც შეეხება მკლავს, ტკივილების გარეშე არც მსოფლიოს ჩემპიონატს ჩაუვლია, მაგრამ ამას უკვე იმდენად მივეჩვიე, ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ. მართალია, ხელს მიშლის, მაგრამ ტკივილებს შევეგუე. მთავარი პრობლემა მაინც ფეხის ტრავმა იყო.

**— ანთალიაში საკუთარი მსოფლიოს რეკორდის გაუმჯობესებაზე ხომ არ გიფიქრიათ?**

— ვფიქრობდი და ვაპირებდი კიდეც, მაგრამ მოვლენების განვითარებამ ცხადყო, რომ სჯობდა, ჩემპიონობისთვის მებრძოლა, ვიდრე მსოფლიოს რეკორდისთვის გამერისკა. მართალია, კარგია მსოფლიოს რეკორდის გაუმჯობესება, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონობა სხვა რამაა.

**— თანაგუნდელებზე რას გვეტყოდით? მძიმე წონაში მოასპარეზე ალეკო ნოზაძისა და გიორგი კობალაძის მეექვსე და მერვე ადგილები მეტ-ნაკლებ წარმატებად თუ ჩაითვლება? და კიდევ, ზურაბ ავთანდილაშვილის უხეიროდ გარჯის მიზეზი რა იყო?**

— მძიმე წონაში მეექვსე-მერვე ადგილების დაკავებას ნამდვილად ვერ მივიჩნევთ მოკრძალებულ შედეგად. ვთვლი, რომ მათი შედეგები, მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო არაა, მაინც წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვიდრე ისინი ფიცარნაგზე გავიდოდნენ, ჩემს გულშემატკივრობას საკმაო ენერგია შეალიეს. ემოციების გახარჯვა კი, მოგეხსენებათ, ძალიან ფიტავს სპორტსმენს. რაც შეეხება ავთანდილაშვილის წარუმატებლობას, ატაცში დაძლეული 175 კილოგრამის შემდეგ აკვრისას ტრავმა მიიღო და ამიტომაც გამოეთიშა ასპარეზობას. მისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი პირველი დიდი საერთაშორისო ტურნირი გახლდათ, ასე რომ, წარუმატებლობა გამოუცდელობამაც განაპირობა. და მაინც, მათით და კიდევ ერთი-ორი ძალოსნით გვაქვს იმის პერსპექტივა, რომ სამომავლოდ ნორმალური გუნდი ჩამოყალიბდეს. ამის პოტენციური შესაძლებლობა ნამდვილად არსებობს.

**— სეზონის უმთავრესი ასპარეზობები მოიგეთ. ახლა რა გეგმები გაქვთ?**

— გაისად, აპრილში, ევროპის ჩემპიონატზე მინდა გამოვიდე.

სხვათა შორის, კონტინენტის პირველობასაც ანთალია უმასპინძლებს, რადგან თავდაპირველმა მასპინძელმა, მანჩესტერმა, ევროპის ჩემპიონატის გამართვაზე მსოფლიოში ბოლო დროს შექმნილი ვითარების გამო ხელი აიღო. ყოველივე ეს ინგლისელებმა უსაფრთხოების მოტივით გააკეთეს. ისე, მანამდე დიდი დროა და ამიტომაც გადაჭრით ვერ გეტყვით, ევროპის ჩემპიონატზე წავალ თუ არა. უმთავრესი შეჯიბრი კი 2002 წლის ვარშავის მსოფლიოს ჩემპიონატია, სადაც ტიტული მექნება დასაცავი.

**— თუ თქვენს წლევანდელ წარმატებებს გავითვალისწინებთ, ადვილი შესაძლებელია, საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენის წოდება მესამედ მოიპოვოთ...**

— ამაზე პასუხს წლის ბოლოს შევიტყობთ. ისე კი, ყველა ის სპორტსმენი, ვისაც წლის ბოლომდე მსოფლიოში თავის გამოჩენის შანსი აქვს, მოჭიდავეა. მინდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენმა ფალავნებმაც იზეიმონ გამარჯვება. ამ შემთხვევაში მე, როგორც რიგითმა ქართველმა ქომაგმა, მინდა განვიცადო ის სიხარული, რაც თავად მივანიჭე საქართველოს. ღმერთმა ინებოს, მათაც ჩემი წყალი გადასხმოდეთ. ისე, რომ არა ჩემი მწვრთნელის, ვანო გრიქუროვის წვლილი ჩემსა და საერთოდ ქართული ძალოსნობის წარმატებაში, ალბათ ის არ ვიქნებოდი, რაც დღეს ვარ. მისმა ძალისხმევამ და მონდომებამ მსოფლიოს ჩემპიონობა მომაპოვებინა. ამიტომაც მინდა, რომ მას დიდი მადლობა გადავუხადო და ჩემი წარმატებაც მივულოცო.

მინდა ისიც გითხრათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს ესწრებოდა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი. მისი ანთალიაში ყოფნა და გულშემატკივრობა ჩემთვის დიდი სტიმული იყო. იმანაც ძალიან გამახარა, რომ მსოფლიოს ჩემპიონის მედლით თავად ირაკლი მეძმარიაშვილმა დამაჯილდოვა.

**— ამის შესახებ დაწვრილებით ხომ არ გვეტყოდით?**

— როდესაც დაჯილდოების დრო დადგა, ასპარეზობის ორგანიზატორებმა შეიტყვეს, რომ საპატიო სტუმართა ლოჟაში ირაკლი მეძმარიაშვილიც იყო. მათაც, ასეთ შანსს ხელიდან როგორ გავუშვებთო და ჩემს დასაჯილდოებლად უხმეს.

**გიგა გურასპაშვილი**



[illegible] ფოტო

თბილისში დაბრუნებულმა გიორგი ასანიძემ ძალოსნობის დარბაზში შეიარა და თანაგუნდელებისგან მილოცვა მიიღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გია ლაბაძის ძაღლი

გაიცანით, სინდი! სინდი დალმატელია, მის პატრონს კი გია ლაბაძე ჰქვია და ქართველ ბორჯღალოსანთა მორკინალი გახლავთ. გია ფრანგულ „ტულონში“ თამაშობს და ერთ-ერთი მათგანია, გასულ შაბათს, ვაკეში თვით საფრანგეთის „ა“ ნაკრებს რომ სძლიეს. სინდის ეს ამბავი, ალბათ, ძალიან გაუხარდა, იმიტომ, რომ ჭკვიანი ძაღლია და პატრონს ვარჯიშებზე დაჰყვება, ხოლო როდესაც გია ვარჯიშს იწყებს, მის ჩანთას და ბორჯღალით დამშვენებულ ქურთუკს დარაჯობს.





ბადრი კეთილაძის ფოტო



REUTERS ტორონტოდან

# აბა, პიჯაკი მოიზომე

დიდი კაცია რუსი ჰოკეისტი ვიაჩესლავ ფეტისოვი. „დეტროიტში“ რომ თამაშობდა, ორჯერ სტენლის თასი მოიგო, რუსეთისთვის მოპოვებულ ჯილდოებზე კი აქ არაფერს ვიტყვით, თორემ სიტყვა გაგვიგრძელდება, ოლიმპიური ოქროთ, ესათ, ისათ. ახლა კი იმაზე, რატომ ირგებს ფეტისოვი პიჯაკს და ვინ არის ის ძიაკაცი, კარგი თერძივით რომ დასდგომია უკან. ფეტისოვს ეს ფოტო ტორონტოში გადაუღეს, სადაც „დიდების დარბაზში“ მიიღეს მთელი ზარ-ზეიმით, წესითა და რიგით. წესი კი ისეთია, რომ ის, ვისაც დარბაზში იღებენ, რითაც მივიდა, იმ პიჯაკს იხდის და საგანგებოდ მისთვის შეკერილს იცმევს. თერძივით კაცი კი „დიდების დარბაზის“ შესარჩევი კომიტეტის თავმჯდომარე კიმ გრეგორი გახლავთ, არც მეტი და არც ნაკლები.



ბადრი კეთილაძის ფოტო

# მინასიანის ბეჭი

ეს ბლანშიანი ახალგაზრდა ფრანგი დამიენ მინასიანი გახლავთ. რამდენიმე დღის წინ დამიენი ისტორიული სამშობლოს მეზობლად, საქართველოში იყო და ახლანდელი სამშობლოს სახელით ბორჯღალოსნებს ეთამაშებოდა. ბორჯღალოსანთა სახელით კი მისი კარგი ნაცნობი, გრენობლელი თანაგუნდელი პალიკო ჯიმშელაძე გამოდიოდა.
როგორც ხედავთ, მინასიანმა იმ შეხვედრაში მხარი თუ ბეჭი იტკინა, მაგრამ ეს ხომ რაგბია, კაცების ანუ ქართველების და სომხების თამაში. თანაც, მეგობრობა მეგობრობაა.



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

# კანონგარეშე და მარშალი

ინგლისურად სიტყვა აუთლოუ კანონგარეშეს ნიშნავს, თუმცა, თუ ამ ფოტოზე ობობასავით გაჩაჩხულ 45-ნომრიან კალათბურთელს დააკვირდებით, იფიქრებთ, რომ კანონგარეშე აქ არაფერია. უბრალოდ, აუთლოუ მისი გვარია, სახელად კი მხოლოდ და მხოლოდ ჩარლზი ჰქვია. ის „ორლანდო მეჯიქში“ თამაშობს, რომელიც „იუტასთან“ 92:105 დამარცხდა. და იუტელი დონიელ მარშალი? მას აუთლოუს მუხლი ეძგერა, დაენარცხა, მაგრამ მერე წამოდგა და გამარჯვება იზეიმა.

# რვა ათასი მეცხრეზე

გუანჩჟოუ ქალაქია, ალბათ, ინდუსტრიის მშენებელი, მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღება იმით მიიპყრო, რომ სრულიად ჩინეთის რიგით მეცხრე თამაშებს მასპინძლობს. ამიტომაც ჩაბრძანდა იქ სოკ-ის პრეზიდენტი ჟაკ როგი და როგორც ფოტოდან ხედავთ, საგანგებო გამოფენასაც ეწვია. ცნობისთვის: სრულიად ჩინურ თამაშებში 8 ათასი სპორტსმენი მონაწილეობს. ეს რიცხვი კი სულ ცოტათი ჩამოუვარდება ოლიმპიადას.



REUTERS გუანჩჟოუდან

სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა ლოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge